სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 იანვარი 2005 №1 (2324) ფასი 50 თეთრი

კბილებით თამაში სიტყვების თამაშში



ვანდერლეი ლუშემბურგოს
რეკორდი: ექვსი ქულა 97 წუთში

ინტერნაციონალური ალქიმია:
0:2 ექვს წუთში 3:2-ად იქცა

ეროუნყენელი ფეხბურთის იტალიური ინტერიერი და ინგლისური ექსტერიერი



რბოლა გრძელდება: „რეალი“ და რონალდო „ბარსელონასა“ და სამუელ ეტოოს კვალში უდგანან

ის დროა, საახალწლო განწყობას ნელ-ნელა სამუშაო განწყობით ვცვლიდეთ და გავიხსენოთ, რომ იქ, ევროპაში, ფეხბურთი ისევ გახურებულია. გუშინ „ბარსელონამ“ წააგო და ეს ამბავი ვინძლო მთავარი იყოს ამ უქმეების ტურებისა. ერთი რომ, „ბარსას“ წაგება ამ სეზონში იმდენად იშვიათი რამაა, გაოცებასაც იწვევს და თანაც პრიმერადივიზიონს ცოტა ინტრიგაც დაუბრუნდა. კატალონიელთაგან ერთი-ორი ასეთი თამაშიც და ის, რაც ორი კვირის წინ გარდაუვალად ჩანდა — „ბარსას“ ჩემპიონობა — ეგებ საეჭვოდ გამოჩნდეს. მით უმეტეს, ახალი მწვრთნელის, ვანდერლეი ლუშემბურგოს ხელში „რეალს“ მოფერიანება დაეტყო. თავის დროზე თაღლითობაში ბრალდებულმა ბრაზილიელმა ის ცნობილი 7-წუთიანი მატჩიც მოიგო და მადრიდულ დერბიშიც გამარჯვებული გამოვიდა.

ამასობაში „მილანმა“ ვერაფერი დააკლო „პალერმოს“ და რაკი „იუვენტუსმა“ ფრეების სერია გამარჯვებით შეცვალა, სერია A-ში ისეთივე ვითარებაა, როგორიც შარშან დავტოვეთ — მათ შორის სხვაობა ისევ ოთხი ქულაა. მაგრამ უქმეების გმირად მაინც „ინტერი“ უნდა მივიჩნიოთ. როგორი საქმეა, 88-ე წუთამდე გუნდი 0:2 აგებდა და მაინც მოიგო...

მეტი რა... ინგლისში თასის თამაშები იყო და სერ ალექს ფერგიუსონს ბოდიშის მოხდა მოუხდა — „მანჩესტერმა“ დაბალლიგელი „ექსეტერი“ ვერ დაამარცხა.

ხიზანიშვილი იანვარს არ გადაცილებს
რეინჯერსმა ბინძური თამაში ნააგო

უიღბლოდ დაიწყო 2005 წელი არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსისთვის“ — 1 იანვარს გლაზგოელმა „ჩაფრებმა“ შოტლანდიური პრემიერლიგის მატჩში სტუმრად „დანდი იუნაიტედთან“ 1:1 ითამაშეს და „სელტიკთან“ ჩამორჩენა სამ ქულამდე გაიზარდეს, გუშინ კი „სელტიკს“ შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თასზე შეხვდნენ და „სელტიკ პარკზე“ 1:2 ააგეს. შოთა არველაძე ტრავმირებულია და გუშინ არ უთამაშია, ზურაბ ხიზანიშვილმა კი 90 წუთი დაჰყო „სელტიკ პარკის“ მინდორზე და ნამატჩევს შევეხმიანეთ კიდეც...

— ძირითადი დრო ფრედ რომ დამთავრებულიყო, ამის შანსი ნამდვილად გვქონდა. „სელტიკთან“ სტუმრად თამაში მართლაც ძნელია, მაგრამ ჩვენ დაცვაში არ ჩავმჯდარვართ და ისე არ იყო, რომ „სელტიკმა“ პირწმინდად გვაჯობა. მატჩის მიწურულს ზედიზედ ექვსი თუ შვიდი კუთხური ჩავაწოდეთ, ჩემს კარიერაში ასეთი რამ აქამდე არ მენახა. მოკლედ, ანგარიშის გათანაბრების შანსი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. ისე, 1:1-ის შემდეგ ძალიან საინტერესო და ამავე დროს ბინძური თამაში გაჩაღდა.

— საკუთარ თამაშზე რას იტყოდი?

— მარცხენა სტოპერი ვიყავი და ნორმალურად ვითამაშე, თუმც როცა გუნდი ორ გოლს გაუშვებს და წააგებს, მცველისთვის ეს ცუდი მაჩვენებელია და არა აქვს ამას მნიშვნელობა, შენი თუ შენი თანაგუნდელის შეცდომის გამო გავიდა გოლები.

— შოთა რატომ არ იყო სამატჩო განაცხადში?

— მას წვივის კუნთი აწუხებს.

— „რეინჯერსთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე ახალი არაფერია?

— კლუბმა რამდენჯერმე შემომთავაზა კონტრაქტის გაგრძელება.

— სხვა გუნდებიდანაც გაქვს შემოთავაზებები?

— არის ასეთი რამდენიმე გუნდი, მაგრამ ახლა მათთან მოლაპარაკებაზე წასვლას არ ვაპირებ, არ მინდა ვიჩქარო.

— ბრიტანული გუნდებია?

— არა მხოლოდ. ჩემმა აგენტმა ივან ბენეშმა მთხოვა, ეს გუნდები არ გაახმაუროო და ამიტომაც კონკრეტულად ვერაფერს გეუბნებით.

— როდის გადაწყდება შენი „რეინჯერსთან“ კონტრაქტის გაგრძელება-არგაგრძელების საქმე?

— ამ თვეს არ გადავაცილებ, გადაწყვეტილებას თებერვლამდე მივიღებ.

დავით თავართქილაძე

9 თებერვალი ფეხბურთის დღეა
ქართველებმა და აზერბაიჯანელებმა მსაჯები გაროქეს

9 თებერვალი ქართული ფეხბურთისთვის დახუნძლული დღე იქნება — ორი მატჩი და ერთი თავყრილობა.

ამ დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2005 წელს პირველად ითამაშებს — შინ ლატვიას შეკრკინება ამხანაგურად. ამავე დღეს იპაექრებენ ქართველი და ლატვიელი ოცდაერთწლამდელებიც. ჯერ არაა ცნობილი, თუ რომელ სტადიონებზე გაიმართება ეს შეხვედრები. საკარაუდოდ, ახალგაზრდები ეროვნულზე ითამაშებენ, უფროსები, რომელთა შეხვედრას აზერბაიჯანელი არბიტრი ზახრივ გადიევი გაუძღვება — „ლოკომოტივზე“ ქართველი მსაჯები კი 9 თებერვლის აზერბაიჯან — მოლდოვას მოემსახურებიან — ლევან ფანიაშვილი, კობა გაბრიაძე და გონა ცირდავა.

ბოლოს ის, რომ 9 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაც გაიმართება

დავით თავართქილაძე

პოლონეთმა დაგვპატიჟა
პასუხი ჟირესზე ჰკიდია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პოლონეთიდან ფაქსი მოვიდა — პოლონელებს სურთ, რომ მათმა ეროვნულმა ნაკრებმა ჩვენსას ამხანაგურად უმასპინძლოს 29, 30 ან 31 მაისს.

მოკლედ, პოლონელებმა მოსაწვევი გამოაგზავნეს და ასარჩევად სამი დღეც დათქვეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პასუხს ჯერ ვერ უგზავნის პოლონელებს, რადგან საამისოდ ალენ ჟირესის სიტყვაა საჭირო.

4 ივნისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალბანეთს ტირანაში უნდა ვეთამაშოთ და თუ ჟირესი მიზანშეწონილად ჩათვლის ამ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე პოლონეთთან ამხანაგურად პაექრობას, მაშინ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას საქართველოდან დასტური მოუვა.

დავით თავართქილაძე

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს ილია ბაბუნაშვილს მამის **გივი ბაბუნაშვილის** გარდაცვალების გამო

იტალიური „მილანის“ ქართველ მცველ კახა კალაძეზე ახალი ინფორმაცია გაჩნდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, „მილანმა“ ერნან კრესპოს შეძენა გადაწყვიტა და არგენტინელის სანაცვლოდ „ჩელსის“ კალაძე-ტომასონის დუეტს სთავაზობს

არისტოკრატული ტრანსფერი?
მილანმა კალაძე ჩელსის შესთავაზა

შეგახსენებთ, რომ კრესპო ინგლისელების კუთვნილებაა და „მილანში“ ივარის წესით თამაშობს, მაგრამ ამ ივარასაც მალე გასდის ვადა.

ამ ყველაფერზე „ჩელსის“ პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, თუმც, იტალიელი ჟურნალისტების თქმით, ეს წინადადება ძალიან მომხიბვლელი ჩანს.

მოკლედ, კალაძის იტალიიდან აბარგებაზე ერთხელაც ითქვა, ოღონდ კვლავ არაოფიციალურად.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების კაპიტნის გადაბირება ასევე ინგლისურ კლუბებს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „ლივერპულს“ სურთ.

კახა შალამბერიძე

ნუთუ საქართველოში მეკარეებს არ სწყალობენ?! თავად განსაჯეთ: ნაკრების ორი მეკარე, აკაკი დევაძე და ზვიად სტურუა დღემდე უქმად არიან



ზვიად სტურუა „ბაკოს“ ფოტო

აკაკი დევაძე „ბაკოს“ ფოტო

გაუღეთ კარი ნაკრების მეკარეებს

დევაძეს პირველი ეტაპის ბოლოს „თბილისთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, სტურუამ კი უკეთესი მომავლის იმედით დატოვა ქუთაისის „ტორპედო“ — უცნაურია და, მას შემდეგ ორივე უგუნდოდაა.

არადა, ვარიანტები თითქოს თავსაყრელად იყო...

სადღეისოდ კი კონტურები ასე გამოიკვეთა: დევაძე გუშინ გაემგზავრა ბაქოში და თუ იქაურებს პირობებზე შეუთანხმდა, „ბაკოში“ გაგრძელებს კარიერას, სტურუას კი „ზესტაფონი“ ეპატიჟება და ალბათ დღეიდან ამ ტრანსფერსაც დაადგება საშველი.

რაღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ვნახოთ...

კახა შალამბერიძე

ისწავლეთ ჩემს სამშობლოში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი თვალსაწიერს იფართოებს — გუნდის მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა და მისი თანაშემწე ნიკა ჩხეიძე დღეს საფრანგეთში ჩავლენ და პირველი დივიზიონის „ტულუზში“ ორკვირიან სტაჟირებას გაივლიან. მათ იქ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალენ ჟირესის ასისტენტი გია გურულიც შეუერთდება — მოკლედ, სტაჟირებას სამი ქართველი მწვრთნელი გაივლის.

შესაძლოა, სტაჟირების მასშტაბი გაფართოვდეს და მწვრთნელთა ამ სამეულმა „ბორდოში“ და „ლილიეშიც“ გაიღრმავოს ცოდნა — ეს მათი საფრანგეთში ყოფნისას გაირკვევა. ყველაფერ ამას კი ალენ ჟირესი კურირებს — სტაჟირება მისი შემწეობით განხორციელდება და ეს საქმეც ჟირესის მეთვალყურეობით ჩაივლის.

ვ. უარაბ დოლიძისაგან ფოტო

დინამო მარბელამდე

საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონი და ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი თბილისის „დინამო“ სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას 5 იანვრიდან შეუდგა

„დინამოში“ ხუთი ახალწყეულია: ქუთაისის „ტორპედოდან“ წამოსულები — ნახევარმცველი შოთა ბაბუნაშვილი და ფორვარდი გია მეგრელაძე, თბილისის „სპარტაკიდან“ გადმოყვანილი შემტევი კობა შალამბერიძე, „ვიტ ჯორჯიას“ აწ უკვე ყოფილი კაპიტანი ლაშა ნოზაძე და ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“ შემატებული მცველი ლაშა ჭელიძე, ვისაც ადრე ქუთაისის „ტორპედოშიც“ უთამაშია.

„დინამოდან“ წავიდა 25 წლის მცველი გიორგი შაშიაშვილი. ის ახლა ავსტრიაშია და ვინძლო იქაურ „პაშინგთან“ კონტრაქტზე მოაწეროს ხელი, თუ კლუბი და ფეხბურთელი პირობებზე შეთანხმდნენ.

„დინამოს“ მიერ ტრანსფერზე დაყენებული თავდამსხმელი ბორის გონჩაროვი კი მოლდოვურ „შერიფში“ ეშურებოდა გადასვლას და ჩავიდა კიდეც ტირასპოლში, იქიდან ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ტრანსფერიც შეფერხდა.

დინამოელები ახლა დიღმის ბაზაზე ვარჯიშობენ, ხოლო 20 იანვრიდან მზადებას განაგრძობენ კვიპროსზე, სადაც ათ დღეს დაჰყოფენ. კვიპროსიდან თბილისში დაბრუნებული „დინამო“ ერთხელაც ითამაშებს — ესპანურ მარბელაში ტურნირზე ითამაშებს — „დინამო“ იქ 3 თებერვალს გაემგზავრება, ტურნირი კი 5-დან 9 თებერვლამდე გასტანს.

დავით თავართქილაძე

ისევ ძველი თბილისია

ახალი კი ახალია უნდა ყოფილიყო...

ნაახალწლევს „თბილისში“ ხმაურიან სატრანსფერო რია-რიას ელოდნენ, თუმც ლუის ცაკარიასის გუნდი ჯერაც ნაღები შემადგენლობით ვარჯიშობს

ბადრი ჯბილაძის ფოტო

ლადო ახალაია ჯერ არ გათბილისელებულა

გოგიტა გოგუა, რევაზ გეწაძე, დავით ოდიკაძე, გოჩა ხოჯავა, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე — ამ ფეხბურთელებს თითქოს კლუბი უნდა გამოეცვალათ, მაგრამ „თბილისის“ ხელმძღვანელობას საქართველოს თასი და იქნებ ჩემპიონობაც ამოუჭრია გულში და ზაფხულამდე მოთამაშეების გასხვისებაზე არ ფიქრობს. შეჩერდა გოგუას „აუსტრიას“ ვარიანტი, აღარც ხოჯავა-ჭელიძე მიდიან გერმანიაში და ოდიკაძის „დინამოში“ გადასვლაც გადაიდო, და კიდევ, გადაწყდა, რომ სანდრო იამშვილი ზაფხულამდე „თბილისში“ ითამაშებს.

ცაკარიასმა 4 იანვარს შეკრიბა გუნდი. ჯერჯერობით „თბილისში“ არ ჩანს ლადო ახალაია, რომლის „დინამოდან“ ნათხოვრობაზეც იყო ლაპარაკი. როგორც იცით, თბილისელებს სულ მალე თანამეგობრობის თასი ელით — ეს ტურნირი 15 ან 17 იანვარს დაიწყება (ჯერ თავად რუსებსაც ვერ დაუდგენიათ თარიღი) და ცაკარიასის ბიჭებიც ერთი დღით ადრე ჩავლენ მოსკოვში. იქამდე კი გუნდი ხან „შევარდენზე“, ხანაც „ოლიმპის“ სკოლის ხელოვნურსაფარიან მინდორზე ემზადება. ერთი სიტყვით, შინაური მიზნები თავისთავად და, ვინ იცის, ამ შემადგენლობით „თბილისი“ იქნებ თანამეგობრობის თასსაც შეეპოტინოს...

ილია ნანოგაშვილი



რუსეთის ჩემპიონმა, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა 18 წლის ქართველ მცველ მათე ღვინიანიძესთან და ახლახან იტალიურ შეკრებაზეც წაიყვანა

მათე-ბიჭი დიდ საქმეშია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი ღვინიანიძე თბილისის „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილია და „ლოკომოტივში“ ვახტანგ კოპალეიშვილის რეკომენდაციით მოხვდა. რკინიგზელთა თავკაცი იური სიომინი კარგა ხანს აკვირდებოდა ჩვენებურს და ბოლოს მისი შეძენაც გადაწყვიტა.

ღვინიანიძე ტანმაღალი (1,91 მეტრი) მცველია, გამოირჩევა ორივე ფეხით ძლიერი დარტყმით. რკინიგზელების თქმით, ქართველი აუტიდან ბურთს ძალიან შორ მანძილზე ისვრის და კარგი ფიზიკური კონდიციები აქვს.

იტალიაში მყოფი „ლოკომოტივი“ იქაურ დაბა ჩოკოში ემზადება საახალწლოდ. ბუნებრივია, იქა საქართველოს ნაკრების ლიდერი მალხაზ ასათიანიც ია, ტრავმამიტეხილი მიხეილ ამქუიაა კი მოსკოვში დარჩა. ექიმები მას დარტყმებს ჯერაც უფრძალავენ და მიხიც იძულებული გახდა, გუნდს დროებით ჩამოშორებოდა. ჩვენებურისთვის სიომინს სპეციალური პროგრამა დაუწყვია და აქვეა ამის მიხედვით ვარჯიშობს.

ჩოკოში „ლოკომოტივი“ ორ კვირას დაჰყოფს და მოსკოვში 19 იანვარს დაბრუნდება. მოსკოვშიც დაზვდება რკინიგზელებს კიდევ ერთი ქართველი, გიორგი ნიღარის ძე ჭელიძე და ვინძლო იური ბალიჩის ქართულმა სამწყსომ იმატოს.

ძახა შალამბერიძე



ბადრი ჯბილაძის ფოტო

ამისულაშვილის ბედის ახალი ვორსკლავი

ალეკო ამისულაშვილის კიევის „დინამოში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი ისე ჩაიხლართა და იმდენი ჭორ-მართალი გამოება, დანდობით ვერც ერთი მხრიდან ვერ მიუდგებოდი. ლამის ყოველდღე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა. ჯერ იყო და, ჩვენებური „როსტოვში“ გადაიყვანეს, მერე ისევ კიევის „დინამოში“ დააბრუნეს, ახლა კი ისევ უკრაინული ვარიანტი გამოჩნდა და ალბათ, ეს უკვე სიმართლეს უნდა ჰგავდეს...

საქმე ისაა, რომ უკრაინული „ვორსკლა“ კიევური გრანდიდან ხუთი ფეხბურთელის იჯარით აყვანას ლამობს და მათ შორისაა ამისულაშვილიც. „ვორსკლას“ თავკაც ვლადიმირ მუნტიანს უკვე უსაუბრია „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისთან და წინასწარ თანხმობაც მიულია. „ვორსკლა“ ამ დღეებში თურქულ შეკრებაზე მიდის და, როგორც მუნტიანი ამბობს, დიდი შანსია, იქ კიეველები — გოლოვკო, ხაცკევიჩი, ოგნიენოვიჩი, რევა და ამისულაშვილიც იახლოს. თუ ეს საქმე მოგვარდა, ქართველი მცველი ზაფხულამდე მაინც დარჩება „ვორსკლაში“.

კიევურ „დინამოს“ კი კვლავაც „თამაშგარეში“ ჰყავს ამისულაშვილი — გუშინ იოზეფ საბომ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ორკვირიან შეკრებაზე წაიყვანა გუნდი და მის მიერ შეგულებულ 25 კაცში ალეკო ვერ მოხვდა.

ილია ნანოგაშვილი

საით, ადამიანო?!

ქართულ კლუბთაგან „ვიტ ჯორჯიამ“ ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ 25 დეკემბერს დაიწყო მზადება. მერე საქართველოს ჩემპიონმა საახალწლოდ დაისვენა და 8 იანვარს ხელახლა შეიკრიბა.

გუნდს ზურაბ ბერიძე ავარჯიშებს, მთავარ მწვრთნელ იტალიელ ჯანი კარნევალის კი 12 იანვრისთვის ელიან.

მთავარი სიახლე კი ისაა, რომ მეკრე მირზა მერლანის და კაპიტან ლაშა ნოზაძის შემდეგ გუნდი გიორგი ადამიამაც დატოვა. ვეტერინართა ერთ-ერთი ლიდერი აზერბაიჯანშია, სადაც ბაქოს „ნეფთჩის“ აწონებს თავს. მართალია, ადამიას „ვიტ ჯორჯიასთან“ ჯერაც კონტრაქტი აკავშირებს, თუმც იუ „ნეფთჩისთან“ შეთანხმება შეძლო, ალარ შეაყოვნებენ.

შევიტყვეთ ისიც, რომ აზერბაიჯანის გზას დღე-დღეზე შესაძლოა ერთი ვეტერინარიც დაადგეს — ალექსანდრე ინწკირველი მალე გაარკვევს, უღირს თუ არა სამეზობლოში გადაბარგება.

„ვიტ ჯორჯიაზე“ კი იმასაც გეტყვით, რომ 27 იანვარს ანთალიაში გაემგზავრება და იქ 10 თებერვლამდე ივარჯიშებს. ვეტერინარებს რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩატარებაც დაუგეგმავთ.

ძახა შალამბერიძე

ბადრი ჯბილაძის ფოტო

გიორგი ადამიამ ბაქოსკენ გაიხედა

ბადრი ჯულელიძის ფოტო

ოთარ გაბელიას X-ვარიანტები

ახალწლამდელი დანაკლისის ანაზღაურებას ქუთაისის „ტორპედო“ დღემდე ეშურება. შოთა ბაბუნაშვილის, გია მეგრელაძისა და ზვიად სტურუას წასვლა, მოლოდინისამებრ, დიდი დარტყმა გამოდგა რიონისპირელთათვის, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ გაჭირვებამ ქუთაისელებს თავი ჩაახრევინა.

მოკლედ, „ტორპედო“ დღეს იკრიბება და სამეორეეტაპოდ მზადებას გუნდთან ერთად, სავარაუდოდ, რამდენიმე ახალწვეულიც დაიწყებს

— მირზა მერლანის ამბავი გეცოდინებათ, მეორე ეტაპზე სწორედ ის დაიცავს „ტორპედოს“ კარს. ველოდებით მერაბ ძოძუაშვილსაც. მისი ტრანსფერი, ისევე როგორც ბათუმელი თენგიზ ჩიკვილაძისა, დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს — გვითხრა გუშინ „ტორპედოს“ თავკაცმა *ოთარ გაბელიამ*.

თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ ქუთაისური კლუბის მაისურას აწ უკვე ექსლოკომოტიველი მიხეილ სოსელიაც მოირგებს. რკინიგზელთა გამთამაშებელი თითქოს ფოთის „კოლხეთში“ გადასვლას აპირებდა, მაგრამ „ტორპედოს“ ვარიანტი უფრო მომხიბვლელი ჩანს.

ახლა კი ისევ ქუთაურთა მწვრთნელს მოვუსმინოთ:

— ორ რუს და ერთ უკრაინელ ფეხბურთელს 14 იანვრამდე ველით. მათ გარდა ორი ქართველი ფეხბურთელიც შეგვემატება, ოღონდ მათ ჯერ ვარჯიშებზე უნდა მოგვაწონონ თავი. გვარებს ვერ გეტყვით, ამ ეტაპზე ასე მირჩევნია.

— **ამით „ტორპედოს“ ტრანსფერები ამოიწურება?**

— არა, ერთ ფეხბურთელსაც ველით.

— **ვის?**

— რუსეთში დაბადებულ-გაზრდილია, ოღონდ ქართული გვარი აქვს.

— **სად თამაშობს?**

— რუსეთის პირველ დივიზიონში. 24 წლისაა და თავდამსხმელია. მეტს ვეღარ დავამატებ. როცა ჩამოვა, ყველაფერს გაიგებთ. მოკლედ, 17 იანვარს საბოლოოდ მეცოდინება, ვინ დარჩება გუნდში და ვინ არა...

ასეთი ამბებია ქუთაისში. ჩვენ კი იმასაც შეგახსენებთ, რომ დღეიდან 20 იანვრამდე „ტორპედო“ მშობლიურ ბაზაზე ივარჯიშებს, მერე კი ანთალიური შეკრებაა.

ძახა შალამბერიძე

ᲥᲘᲤᲨᲘᲫᲔ ᲞᲠᲝ-ᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲝᲛᲔᲓᲬᲔᲓᲐ

სიონს მალე ლიცენზირებული მწვრთნელი ეყოლება



გიორგი ყიფშიძე

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

მანჩესტერელების წახდენა და გოლიათთა მკვლელობა

ინგლისი

პრემიერლიგა. XX ტური

ნიუკასლი 0:1 არსენალი
0:1 ვიეირა (45)

ასტონ ვილა 0:1 მანჩესტერ იუნ.
0:1 გიგზი (41)

ბოლტონი 0:1 ბლეკბერნი
0:1 დიკოვი (6)

ჩარლტონი 2:0 ევერტონი
1:0 ელ კარკური (82), 2:0 ჰრეიდარსონი (85)

ფულემი 2:3 ბირმინგემი
0:1 ჰესკი (25), 1:1 ლეგვინსკი (34), 1:2 კარტერი (41), 1:3 სევიჯი (53), 2:3 რაძინსკი (90)

ლივერპული 1:0 საუთჰემპტონი
1:0 სინამა-პონიოლი (44)

მანჩესტერ სიტი 1:1 ვესტ ბრომვიჩი
1:0 ანელკა (32), 1:1 რ. დანი (85სკ)

მიდლსბრო 2:0 ნორვიჩი
1:0, 2:0 დეზირე-ჟობი (52, 54)

პორტსმუთი 0:2 ჩელსი
0:1 რობენი (79), 0:2 ჯ. კოული (90)

ტოტენჰემი 1:1 კრისტალ პალასი
1:0 დეფო (54), 1:1 ენდრიუ ჯონსონი (79)

XXI ტური

ტოტენჰემი 5:2 ევერტონი
1:0 მერნი (16), 2:0 ციგლერი (27), 2:1 ჩეჰილი (40), 3:1 პ. მენდეში (59), 4:1 რობი კინი (68), 5:1 მერნი (80), 5:2 მაკფადენი (87)

პორტსმუთი 1:1 ნორვიჩი
0:1 ფრენსისი (9), 1:1 აიეგბენი (61პ)

ნიუკასლი 2:1 ბირმინგემი
1:0 ამეობი (6), 2:0 ბოიერი (44), 2:1 ჰესკი (64)

მიდლსბრო 0:2 მანჩესტერ იუნ.
0:1 ფლეტჩერი (9), 0:2 გიგზი (79)

მანჩესტერ სიტი 2:1 საუთჰემპტონი
1:0 ბოსველტი (19), 2:0 შ. რაიტ-ფილიპსი (40), 2:1 ფილიპსი (90პ)

ლივერპული 0:1 ჩელსი
0:1 ჯ. კოული (80)

ფულემი 3:1 კრისტალ პალასი
1:0 ენდი კოული (4), 1:1 ენდრიუ ჯონსონი (35პ), 2:1 ენდი კოული (60), 3:1 რაძინსკი (73)

ჩარლტონი 1:3 არსენალი
0:1 ლიუნგბერგი (35), 1:1 ელ კარკური (45), 1:2 ლიუნგბერგი (48), 1:3 ვან პერსი (67)

ბოლტონი 1:1 ვესტ ბრომვიჩი
0:1 გერა (13), 1:1 დიუფი (85)

ასტონ ვილა 1:0 ბლეკბერნი
1:0 სოლანო (88)

XXII ტური

საუთჰემპტონი 3:3 ფულემი
0:1 პ. ბ. დიოპი (20), 1:1, 2:1 ფილიპსი (21, 29), 2:2 მალბრანკი (43), 2:3 რაძინსკი (50), 3:3 როსენიორი (71ს.კ.)

არსენალი 1:1 მანჩესტერ სიტი
0:1 შ. რაიტ-ფილიპსი (31), 1:1 ლიუნგბერგი (75)

ბირმინგემი 1:2 ბოლტონი
0:1 დიუფი (17), 1:1 აპსონი (66), 1:2 ნოლანი (90)

ჩელსი 2:0 მიდლსბრო
1:0, 2:0 დროგბა (15, 17)

ევერტონი 2:1 პორტსმუთი
1:0 სტაბსი (29), 1:1 აიეგბენი (31), 2:1 ოსმანი (90)

მანჩესტერ იუნ. 0:0 ტოტენჰემი

ბლეკბერნი 1:0 ჩარლტონი
1:0 ემერტონი (41)

კრისტალ პალასი 2:0 ასტონ ვილა
1:0, 2:0 ენდრიუ ჯონსონი (33, 66პ)

ნორვიჩი 1:2 ლივერპული
0:1 ლუის გარსია (58), 0:2 რიისე (64), 1:2 ჯერვისი (88)

ვესტ ბრომვიჩი 0:0 ნიუკასლი

ასოციაციის თასი

1/32 ფინალი

ბირმინგემი — ლიდსი 3:0; ბორნმუთი — ჩესტერი 2:1; კარდიფი — ბლეკბერნი 1:1; ჩარლტონი — როჩდეილი 4:1; ჩელსი — სკანთორპი 3:1; ქოვენთრი — ქრიუ 3:0; დერბი ქაუნთი — უიგანი 2:1; ჰარტლპული — ბოსტონი 0:0; ჰალი — კოლჩესტერი 0:2; იფსვიჩი — ბოლტონი 1:3; ლესტერი — ბლეკპული 2:2; ლუტონი — ბრენტფორდი 0:2; მანჩესტერ იუნაიტედი — ექსეტერი 0:0; დონსი — პიტერბრო 0:2; ნორთჰემპტონი — საუთჰემპტონი 1:3; ნოტსი — მიდლსბრო 1:2; ოლდემი — მანჩესტერ სიტი 1:0; პლიმუთი — ევერტონი 1:3; პორტსმუთი — ჯილინგემი 1:0; პრესტონი — ჯესტ ბრომვიჩი 0:2; ქუინზ პარკი — ნოტინგემი 0:3; რედინგი — სუონსი 1:1; როტერჰემი — იოვილი 0:3; შეფილდ იუნაიტედი — ასტონ ვილა 3:1; სანდერლენდი — კრისტალ პალასი 2:1; ტოტენჰემი — ბრაიტონი 2:1; უოტფორდი — ფულემი 1:1; ვესტ ჰემი — ნორვიჩი 1:0; ვულვერჰემპტონი — მილუოლი 2:0; არსენალი — სტოკი 2:1; იდინგი — ნიუკასლი 0:2. ბარნლი — ლივერპული 18 იანვარს გაიმართება

ასოციაციის თასის თამაშებს გოლიათთა წახდენა ეხერხება ხოლმე და ამ უქმეების მსხვერპლი „მანჩესტერი“ გამოდგა, რომელმაც შინ უგოლოდ დაამთავრა თამაში ნონლიგის „ექსეტერთან“ და ახლა გადათამაშება მოუწევს, რომელიც ნიუკასლში გაიმართება.

„ექსეტერი“ 94 ადგილით დაბლაა „მანჩესტერზე“, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ პატარა გუნდს დიდი გუნდი გაემწარებინა. „მანჩესტერი“ არ იყო ძირითადი შემადგენლობით, მაგრამ სერ ალექსი მაინც სასტიკად გაცეცხლდა: „ბოდიშს ვუხდი ჩვენს ფანებს. მათ არ ეკუთვნოდათ ასეთი შედეგი. 18 წელიწადია გუნდში ვარ და ასე საშინლად თასზე არასოდეს გვითამაშია. „ექსეტერის“ დღე იყო. მე კი თუ მახერებს, რომ კვლავ შევჯიბრში ვართ“.

ერთხანს პატარა „სკანთორპმაც“ იბოგინა „სტემფორდ ბრიჯზე“, სადაც პოლ ჰეიესმა ანგარიში გაუხსნა „ჩელსის“, მაგრამ მერე ერთბაშად სამი გაუშვა და საქმეც ამით მოთავდა. „ნოთს ქაუნთიც“ უგებდა „მიდლსბროს“, თუმც მერე დორივამ გაათანაბრა და ჟოზეფ დეზირე ჟობმა გამარჯვებისა გაიტანა.

სათასო დღის გოლიათთა მკვლელობა კი „შეფილდ იუნაიტედმა“ ჩაიდინა, რომელმაც „ასტონ ვილა“ დაითხოვა თასიდან. აქაც ჯერ წაგებული იგებდა გარეთ ბერის გოლით, მერე კი მავანმა ენდი ლიდელმა დუბლი აასრულა, რასაც დენი კულიპის გამათანაბრებელი უძღვოდა წინ.

„საუთჰემპტონში“ მამის დასახმარებლად გადასულმა ჯემი რედნაპმა პირველად ითამაშა სამხრეთულ სამოსში და „ნორთჰემპტონს“ გოლიც გაუტანა. რედნაპთა გუნდმა 3:1 მოიგო, მამა ჰარისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო ამ გუნდის მენეჯერად დანიშვნის შემდეგ. თუმც ყველაზე ვნებიანი თამაში ოლდემის „ბოუნდერ პარკზე“ გამოვიდა, სადაც იქაურებმა შოკისმომგვრელი გამარჯვება მოიპოვეს, ცხადია, „მანჩესტერ სიტიზე“. თამაშის ერთადერთი გოლი აღრევე გაიტანა სკოტ ვერნონმა, იმის შემდეგ კი მატჩი მასპინძელთა მეკარის, ლეს პოლიაკომის ბენეფისად იქცა. „სიტიმ“ ვერ გაათანაბრა და ქუდიც დაიხურა.


ალექს ფერგიუსონი

ირაკლი გამყრელიძე

ჩემპიონატი

XXVI ტური

ბარნლი — უიგანი 1:0; დერბი ქაუნთი — მილუოლი 0:3; ჯილინგემი — ქოვენთრი 3:1; იფსვიჩი — სტოკი 1:0; ლიდსი — პლიმუთი 2:1; ნოტინგემი — სანდერლენდი 1:2; პრესტონი — რედინგი 3:0; ქუინზ პარკი — ქრიუ 1:2; როტერჰემი — ვესტ ჰემი 2:2; შეფილდ იუნ. — ლესტერი 2:0; უოტფორდი — კარდიფი 0:0; ვულვერჰემპტონი — ბრაიტონი 1:1

XXVII ტური

დერბი ქაუნთი — კარდიფი 0:1; ჯილინგემი — რედინგი 0:0; იფსვიჩი — ვესტ ჰემი 0:2; ლიდსი — ქრიუ 0:2; ნოტინგემი — სტოკი 1:0; პრესტონი — სანდერლენდი 3:2; ქუინზ პარკი — ბრაიტონი 0:0; როტერ ჰემი — ქოვენთრი 1:2; შეფილდ იუნ. — უიგანი 0:2; უოტფორდი — მილუოლი 1:0; ვულვერჰემპტონი — პლიმუთი 1:1. ბარნლი — ლესტერი გადაიდო

XXVIII ტური

უიგანი — ვულვერჰემპტონი 2:0; ბრაიტონი — უოტფორდი 2:1; კარდიფი — ნოტინგემი 3:0; ქოვენთრი — ლიდსი 1:2; ქრიუ — პრესტონი 1:2; ლესტერი — ქუინზ პარკი 1:0; მილუოლი — როტერჰემი 1:2; პლიმუთი — იფსვიჩი 1:2; რედინგი — დერბი ქაუნთი 0:1; სტოკი — ბარნლი 0:1; სანდერლენდი — ჯილინგემი 1:1; ვესტ ჰემი — შეფილდ იუნ. 0:2

იფსვიჩი	28	16	7	5	52:34	55
უიგანი	28	15	8	5	49:20	53
სანდერლენდი	28	15	5	8	40:26	50
რედინგი	28	14	6	8	36:26	48
შეფილდი	28	13	9	6	38:34	48
ვესტ ჰემი	28	13	6	9	37:33	45
მილუოლი	28	12	6	10	32:26	42
დერბი	28	12	6	10	39:35	42
პრესტონი	28	12	6	10	38:39	42
ბარნლი	26	10	9	7	23:21	39
ქრიუ	27	11	6	10	48:46	39
სტოკი	28	10	8	10	18:20	38
ქუინზ პარკი	28	11	4	13	36:41	37
ლიდსი	28	9	9	10	33:31	36
ლესტერი	27	8	11	8	28:26	35
უოტფორდი	28	7	12	9	31:31	33
პლიმუთი	28	9	6	13	33:39	33
ბრაიტონი	28	9	6	13	22:35	33
ვულვზი	28	7	11	10	36:38	32
ქოვენთრი	28	8	8	12	34:44	32
კარდიფი	28	7	9	12	30:34	30
ჯილინგემი	28	7	5	16	27:47	26
ნოტინგემი	28	5	9	14	27:43	24
როტერჰემი	28	3	10	15	22:40	19

პრესტიჟული ფიფა

XXV ტური

ტემუორთი — ექსეტერი 1:2; ნორსვიჩი — სტივენეიჯი 1:1; ჰერეფორდი — ლეი 3:0; ჰალიფაქსი — დაგენემი 2:2; გრეივსენდი — აკრინგტონი 2:2; ბარნეტი — სკარბორო 1:0; ქოსვი — უოქინგი 2:2; კარლაილი — ალდერშოტი 1:1; ფარნბორო — მორეკემბი 1:2; ფორესტ გრინი — ქროული 1:1; იორკი — ბარტონი 1:2

XXV ტური

ქოსვი — დაგენემი 4:2; ტემუორთი — ბარტონი 0:2; ჰერეფორდი — ექსეტერი 1:2; გრეივსენდი — ქროული 0:0; ფორესტ გრინი — ალდერშოტი 0:0; ფარნბორო — უოქინგი 0:0; ბარნეტი — სტივენეიჯი 2:1; კარლაილი — მორეკემბი 3:3; იორკი — სკარბორო 0:2; ჰალიფაქსი — აკრინგტონი 1:1. *ნორსვიჩი — ლეი 1:2-ზე ჩაიშალა*

XXVI ტური

მორეკემბი — ქოსვი 4:0; სკარბორო — ფორესტ გრინი 0:0; სტივენეიჯი — იორკი 2:2; უოქინგი — ბარნეტი 1:1; დაგენემი — ნორსვიჩი 2:3; ქროული — კარლაილი 1:0; ბარტონი — ჰერეფორდი 3:0; ალდერშოტი — ტემუორთი 4:3; აკრინგტონი — ფარნბორო 2:1; ლეი — გრეივსენდი 0:1. *ექსეტერი — ჰალიფაქსი გადაიდო*

პირველი ლიგა

XXVI ტური

რექსემი — ჩესტერფილდი 3:1; უოლსოლი — ტრანმერი 0:2; ტორკი — ბრედფორდი 0:0; პორტ ვეილი — შეფილდ უენსდი 0:2; სუინდონი — ბრენტფორდი 3:0; ოლდემი — პიტერბრო 2:1; დონსი — ბლეკპული 3:1; ბრისტოლი — ჰარტლპული 0:0; ლუტონი — კოლჩესტერი 2:2; ბორნმუთი — ჰადერსფილდი 2:2; ბარნსლი — სტოკპორტი 3:3; ჰალი — დონკასტერი 2:1

I ლიგა. XXVII ტური

ბარნსლი — ჰარტლპული 0:0; ბორნმუთი — ბრენტფორდი 3:2; ბრისტოლი — პიტერბრო 2:0; ჰალი — ჰადერსფილდი 2:1; ლუტონი — შეფილდ უენსდი 1:1; დონსი — ჩესტერფილდი 1:1; ოლდემი — ტრანმერი 2:2; პორტ ვეილი — ბრედფორდი 0:1; სუინდონი — კოლჩესტერი 0:3; ტორკი — სტოკპორტი 1:2; უოლსოლი — დონკასტერი 1:1; რექსემი — ბლეკპული 1:2

I ლიგა. XXVIII ტური

ჩესტერფილდი — ბარნსლი 2:2; კოლჩესტერი — ოლდემი 0:0; სტოკპორტი — ჰალი 1:3; ტრანმერი — ტორკი 4:1; ბრედფორდი — სუინდონი 1:2; ბლეკპული — პორტ ვეილი 0:2; შეფილდ უენსდი — რექსემი 4:0; ჰადერსფილდი — ბრისტოლი 2:2; ჰარტლპული — დონსი 5:0; ბრენტფორდი — უოლსოლი 1:0; დონკასტერი — ბორნმუთი 1:1; პიტერბრო — ლუტონი 2:2

გადადებული მატჩები

დონკასტერი — პორტ ვეილი 2:0; ჰადერსფილდი — ტორკი 1:1; შეფილდ უენსდი — სუინდონი 2:0

მეორე ლიგა

XXIV ტური

საუთენდი — მენსფილდი 0:1; შრიუსბერი — დარლინგტონი 4:0; ლეიტონი — რაშდენი 2:2; მაკლსფილდი — უიკომბი 2:1; ნორთჰემპტონი — ბერი 2:0; ოქსფორდი — კიდერმინსტერი 0:2; როჩდეილი — ჩესტერი 2:2; სკანთორპი — ნოტსი 0:0; კემბრიჯი — იოვილი 3:5; სუონსი — ბოსტონი 3:1; ლინკოლნი — გრიმსბი 0:0; ჩელტენემი — როვერსი 1:1

XXV ტური

კემბრიჯი — ბოსტონი 0:1; ნორთჰემპტონი — მენსფილდი 2:1; სუონსი — იოვილი 0:2; საუთენდი — რაშდენი 3:0; შრიუსბერი — როვერსი 2:0; სკანთორპი — დარლინგტონი 0:1; ოქსფორდი — უიკომბი 2:1; მაკლსფილდი — ჩესტერი 1:2; ლინკოლნი — ბერი 1:0; ჩელტენემი — ნოტსი 0:2; ლეიტონი — კიდერმინსტერი 2:1. *როჩდეილი — გრიმსბი გადაიდო*

XXVI ტური

როვერსი — ნორთჰემპტონი 3:1; ბოსტონი — ლეიტონი 2:2; რაშდენი — სუონსი 0:2; კიდერმინსტერი — საუთენდი 1:3; გრიმსბი — კემბრიჯი 3:0; ჩესტერი — ლინკოლნი 0:1; დარლინგტონი — მაკლსფილდი 3:1; ბერი — ოქსფორდი 0:0; იოვილი — შრიუსბერი 4:2; ნოტსი — როჩდეილი 0:0; მენსფილდი — სკანთორპი 1:0; უიკომბი — ჩელტენემი 1:1

გადადებული მატჩები

როვერსი — კემბრიჯი 1:1; ბერი — ლეიტონი 0:0; დარლინგტონი — ოქსფორდი 1:1; კიდერმინსტერი — ლინკოლნი 2:1; რაშდენი — შრიუსბერი 0:0

№	სულ თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	შინ თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	სტუმრად თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ჩელსი	22	17	4	1	43:8	35	55	11	9	2	0	22:3	19	29	11	8	2	1	21:5	16	26
2 არსენალი	22	14	6	2	52:24	28	48	11	6	5	0	28:12	16	23	11	8	1	2	24:12	12	25
3 მანჩესტერი	22	12	8	2	33:13	20	44	11	7	4	0	19:5	14	25	11	5	4	2	14:8	6	19
4 ევერტონი	22	13	4	5	27:23	4	43	11	8	1	2	15:11	4	25	11	5	3	3	12:12	0	18
5 ლივერპული	22	11	4	7	36:22	14	37	11	8	1	2	20:8	12	25	11	3	3	5	16:14	2	12
6 მიდლსბრო	22	10	5	7	34:28	6	35	11	6	3	2	18:11	7	21	11	4	2	5	16:17	-1	14
7 ტოტენჰემი	22	9	6	7	29:21	8	33	11	4	3	4	22:16	6	15	11	5	3	3	7:5	2	18
8 ჩარლტონი	22	9	4	9	24:32	-8	31	11	6	2	3	17:12	5	20	11	3	2	6	7:20	-13	11
9 სიტი	22	7	7	8	27:23	4	28	11	4	4	3	13:8	5	16	11	3	3	5	14:15	-1	12
10 ასტონ ვილა	22	7	7	8	23:26	-3	28	11	6	3	2	16:7	9	21	11	1	4	6	7:19	-12	7
11 ბოლტონი	22	7	6	9	29:31	-2	27	11	4	3	4	13:11	2	15	11	3	3	5	16:20	-4	12
12 პორტსმუთი	22	7	6	9	26:30	-4	27	11	5	2	4	16:15	1	17	11	2	4	5	10:15	-5	10
13 ბირმინგემი	22	6	8	8	25:25	0	26	11	3	4	4	12:9	3	13	11	3	4	4	13:16	-3	13
14 ნიუკასლი	22	6	8	8	33:39	-6	26	11	4	3	4	18:18	0	15	11	2	5	4	15:21	-6	11
15 ფულემი	22	6	4	12	28:39	-11	22	11	4	1	6	14:20	-6	13	11	2	3	6	14:19	-5	9
16 ბლეკბერნი	22	4	10	8	20:33	-13	22	11	2	7	2	13:16	-3	13	11	2	3	6	7:17	-10	9
17 კრ. პალასი	22	4	6	12	23:34	-11	18	11	3	2	6	10:12	-2	11	11	1	4	6	13:22	-9	7
18 ნორვიჩი	22	2	10	10	19:39	-20	16	11	2	4	5	13:19	-6	10	11	0	6	5	6:20	-14	6
19 საუთჰემპტონი	22	2	9	11	22:37	-15	15	11	2	7	2	16:16	0	13	11	0	2	9	6:21	-15	2
20 ვესტ ბრომვიჩი	22	1	10	11	17:43	-26	13	11	1	5	5	7:19	-12	8	11	0	5	6	10:24	-14	5

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	16
ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი)	13
დეფო (ტოტენჰემი)	10
პირესი (არსენალი)	10
ბაროში (ლივერპული)	8
ენდი კოული (ფულემი)	8
დროგბა (ჩელსი)	8
პასელბაინკი (მიდლსბრო)	8
აიეგბენი (პორტსმუთი)	8

XXIII ტური

15 იანვარი

ასტონ ვილა	:	ნიუკასლი
ტოტენჰემი	:	ჩელსი
მიდლსბრო	:	არსენალი
ჩარლტონი	:	მანჩესტერი
ფულემი	:	ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული	:	მანჩესტერი
სიტი	:	კრ. პალასი
მიდლსბრო	:	ევერტონი
ნიუკასლი	:	საუთჰემპტონი
პორტსმუთი	:	ბლეკბერნი

ვოვიდა პაპადოპულო და... კაპიტალე ლაციოს დარჩა

იტალია

სერია A. XVII ტური

მილანი 5:2 ლეჩე

1:0, 2:0 კრესპი (23, 36), 3:0 შევჩენკო (51), 4:0 კრესპო (57), 4:1 ბოჟინოვი (75), 4:2 კასეტი (84), 5:2 ტომასონი (89)

პარმა 1:1 იუვენტუსი

0:1 იბრაჰიმოვიჩი (64), 1:1 მარკიონი (85)

ლივორნო 0:2 ინტერი

0:1 მატერაცი (42), 0:2 ვიერი (74ვ)

ლაციო 3:1 რომა

1:0 დი კანიო (29), 1:1 კასანო (69), 2:1 სეზარი (74), 3:1 როკი (40)

სამპდორია 2:0 უდინეზე

1:0 ფლაკი (68), 2:0 მ. კასტელინი (75)

კალიარი 2:1 მესინა

0:1 ძამპანა (21), 1:1 მ. ესპოზიტო (48), 2:1 გობი (56)

ატალანტა 1:0 ფიორენტინა

1:0 ბუდანი (81)

ბრეშა 1:1 ბოლონია

0:1 ტარე (18), 1:1 დი ბიაჯო (67ვ)

კიევო 1:3 სიენა

0:1 ტადეი (44), 0:2, 0:3 ტ. ფლო (54, 66), 1:3 სემიოლი (74)

რეჯინა 1:0 პალერმო

1:0 ნაკამურა (7)



რომაული დერბი უჩხუბრად, აბა, როგორ ჩაივლიდა



„ლაციოს“ გმირი პაოლო დი კანიო იყო

XVIII ტური

პალერმო 0:0 მილანი

პალერმო: გუარდალბენი, ზაკარდო, ტერლიცი, ბარძალი, გროსო, მორონე, კორინი, მუტარელი (რაიმონდი 82), ბრიენძა (სანტანა 58), ძაული (მ. გონსალესი 71), ტონი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანჯარო, გატუზო (ზეედორფი 67), პირლო, დორასო (ამბროზინი 78), კაკა, შევჩენკო, კრესპო (ტომასონი 80)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: გატუზო, მორონე, კორინი, პირლო, გროსო, კაკა

მსაჯი: როდომონტი

36 000 მაყურებელი

იუვენტუსი 4:2 ლივორნო

1:0 დელ პიერო (17), 2:0 კამორანეზი (25), 2:1 ვიდიგალი (42), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (75), 3:2 მელარა (80), 4:2 კამორანეზი (90ვ)

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ოლივერა (ტაკინარდი 63), ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 66), იბრაჰიმოვიჩი (პესოტო 84)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ლივორნო: ამელია, ბალერი (პფერცელი 89), მელარა, ვარგასი, გალანტე, პასონი, დოგა, ვიდიგალი, გრაუზო (კოლომბო 76), დანილევიჩუსი, ვიჯანი

მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა

გაფრთხილება: ნედვედი, ბალერი, ვიდიგალი, ტაკინარდი

მსაჯი: ფარინა

21 435 მაყურებელი

ინტერი 3:2 სამპდორია

0:1 ტონეტო (44), 0:2 კუტუზოვი (83), 1:2 მარტინსი (88), 2:2 ვიერი (90), 3:2 რეკობა (90)

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ფავალი, ემრე (კარაგუნისი 84), კ. ძანეტი (ო. მარტინსი 63), კამბიასო, დ. სტანკოვიჩი, ადრიანო (რეკობა 75), ვიერი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, ფალკონე (პავანი 57), პიზანო, დიანა, ვოლპი, პალომბო, ტონეტო, ფლაკი (კაროციერი 90), როსინი (კუტუზოვი 73)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

გაფრთხილება: კორდობა, როსინი, ვოლპი, სტანკოვიჩი

მსაჯი: ბერტინი

60 000 მაყურებელი

უდინეზე 2:0 კალიარი

1:0, 2:0 დი ნატალე (23, 59)

უდინეზე: დე სანტანისი, ბერტოტო, სენსინი, ფილიპე, პინცი, დ. პიზარო, მუნტარი, იანკულოვსკი (ბელერი 82), დი მიკელე (მაური 60), იაკინტა, დი ნატალე (პაზიენცა 90)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

კალიარი: იეკო, დ. ლობესი, მალტალიატი, ბეგა (ბისანო 46), აგოსტინი, აბეიხონი (ჯონტი 38), ბრამბილა, გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა (სუაცო 63), ლანგელა

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

გაფრთხილება: დი მიკელე, მუნტარი, გობი

მსაჯი: დონდარინი

16 000 მაყურებელი

რომა 2:1 ატალანტა

1:0, 2:0 მონტელა (40, 53), 2:1 მარკოლინი (85)

რომა: ტოტი, მექსეში, დელასი, მ. ფერარი, მასსინი, დაგოსტინო (დე მარტინო 78), დე როსი, პანუჩი, ტოტი, ა. კასანო, მონტელა

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

ატალანტა: ტაიბი, ინოჩენტი (ლაცარი 59), სალა, ნატალი, რივალტა, დ. ძენონი, მინგაციინი (ბერნარდინი 78), მილაჩიო, მარკოლინი, მონტოლივო (მოტა 65), ბუდანი

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: ლაცარი, ლაცარი

გაძევება: ლაცარი (90)

მსაჯი: ტომბოლინი

40 000 მაყურებელი

ფიორენტინა 2:3 ლაციო

1:0 მიკოლი (21), 1:1 ფერანტინი (38), 1:2 პანდევი (64), 1:3 ფაბრი (82), 2:3 მიკოლი (85)

ფიორენტინა: ლუპატელი, უიფალუში, ვიალი, სავინო, მაჯო, მარესკა, ობოდო, კიელინი, დ. ვალდესი (პორტილიო 68), მიკოლი, რიგანო

მწვრთნელი: სერჯო ბუზო

ლაციო: პერუცი (სერენი 46), ოდო, სივილია, ჯანიკედა, ე. ფილიპინი, ბ. ფილიპინი, დაბო, ლივერანი, სეზარი, დი კანიო (პანდევი 60), როკი (კ. მანფრედინი 85)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

გაფრთხილება: მარესკა, დაბო, ვალდესი, ოდო, ვიალი, პანდევი

მსაჯი: რიცოლი

30 142 მაყურებელი



ჯუზეპე პაპადოპულო

სიენა 0:1 პარმა

0:1 ჯილარდინო (21)

სიენა: ფორტინი, ჩირილო, კოლონეზე, პორტანოვა (ფოლიო 12), ფალზინი, ტადეი, პეკია, არჯილი (მაკარონე 73), დი დონატო, კიეზა, ტ. ფლო (გრაფიედი 25)

მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი

პარმა: ს. ფრეი, ბოვო, ბონერა, პ. კანავარო, მარკიონი (ფერონეტი 67), ბრეშიანო, გრელა, სიმპლისიო (ბუდელი 66), კონტინი (პოტენცა 74), მორფეო, ჯილარდინო

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

გაფრთხილება: კონტინი, ბრეშიანო

გაძევება: პეკია (85)

მსაჯი: პრესკერნი

8 000 მაყურებელი

ბოლონია 3:1 კიევო

1:0 ლოკატელი (27), 2:0 ტარე (60), 2:1 ძანკეტა (77), 3:1 ბელუჩი (87ვ)

ბოლონია: პალიუკა, ნასტასე, ტორიზი, გამბერინი (კაპუანო 87), დაინო, ლოვიზო, ჯუნტი (ლ. კოლუჩი 46), სუსი, ლოკატელი (ზაგორაკისი 79), ბელუჩი, ტარე

მწვრთნელი: კარლო მაცონე

კიევო: მარკეჯანი, მალაგო, მანდელი, დანა, ს. ლანა, სემიოლი, ბრიგი, ბარონიო (მარკეზეტი 72), დ. ფრანჩესკინი (ძანკეტა 67), პელისიერი (ტირიბოკი 67), ამაური

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: ნასტასე, მალაგო, ჯუნტი, ბრიგი, კოლუჩი, დანა

გაძევება: ფრანჩესკინი (73), ამაური (90)

მსაჯი: მესინა

15 000 მაყურებელი

ლეჩე 1:1 რეჯინა

1:0 ბაბუ (43), 1:1 მოცარტი (45ვ)

ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა (ერიომენკო 70), ბაბუ (ბელანოვიჩი 75), ბოჟინოვი, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი

რეჯინა: პავარინი, კანარზა, დე როზა, დ. ფრანჩესკინი, მესტო, პარედესი, მოცარტი, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (ესტევესი 85), ნაკამურა (ტედესკო 53), ბორიელო

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

გაფრთხილება: ჯაკომაცი, რულო, სიჩინიანო, კანარზა, მოცარტი, დე როზა, მესტო

მსაჯი: ბრიგი

13 200 მაყურებელი

მესინა 2:0 ბრეშა

1:0 დონატი (6), 2:0 პარიზი (70ვ)

მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, არონიკა, კოპოლა, რეზაეი, პარიზი, სულო (რაფაელი 83), დონატი, ძამპანა (ჯამპა 65), ილიევი, დი ნაპოლი (იანაგისავა 90)

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, ადანი (ნიგაარდი 81), ძობოლი, სტანკევიჩიუსი, მილანეტო, დი ბიაჯო, დალამანო (დომიცი 72), შოპი (დი პასკუალე 72), სკული, კარაჩოლო

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: ძამპანა, სკული, სკული

გაძევება: სკული (52), ილიევი (66)

მსაჯი: ტალიავენტო

32 000 მაყურებელი

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 იუვენტუსი	18	13	4	1	33:10	23	43	9	7	2	0	17:5	12	23	9	6	2	1	16:5	11	20
2 მილანი	18	11	6	1	32:11	21	39	9	5	3	1	23:9	14	18	9	6	3	0	9:2	7	21
3 უდინეზე	18	10	4	4	27:15	12	34	9	5	2	2	15:6	9	17	9	5	2	2	12:9	3	17
4 ინტერი	18	6	12	0	38:26	12	30	9	4	5	0	20:11	9	17	9	2	7	0	18:15	3	13
5 სამპდორია	18	8	3	7	19:15	4	27	9	4	1	4	6:6	0	13	9	4	2	3	13:9	4	14
6 რომა	18	7	5	6	33:27	6	26	9	4	4	1	20:13	7	16	9	3	1	5	13:14	-1	10
7 პალერმო	18	6	7	5	16:12	4	25	9	5	3	1	10:3	7	18	9	1	4	4	6:9	-3	7
8 კალიარი	18	7	4	7	26:31	-5	25	9	6	2	1	16:9	7	20	9	1	2	6	10:22	-12	5
9 ლაციო	18	6	5	7	25:26	-1	23	9	3	3	3	15:13	2	12	9	3	2	4	10:13	-3	11
10 რეჯინა	18	6	5	7	16:20	-4	23	9	5	1	3	11:10	1	16	9	1	4	4	5:10	-5	7
11 ლეჩე	18	5	7	6	34:36	-2	22	9	4	2	3	19:16	3	14	9	1	5	3	15:20	-5	8
12 ფიორენტინა	18	5	7	6	18:21	-3	22	9	4	3	2	13:8	5	15	9	1	4	4	5:13	-8	7
13 მესინა	17	5	6	6	21:26	-5	21	8	4	3	1	14:10	4	15	9	1	3	5	7:16	-9	6
14 ბოლონია	18	5	5	8	19:20	-1	20	9	4	2	3	12:9	3	14	9	1	3	5	7:11	-4	6
15 ლივორნო	18	5	5	8	20:26	-6	20	9	4	1	4	9:10	-1	13	9	1	4	4	11:16	-5	7
16 კიევო	18	5	5	8	16:26	-10	20	9	3	3	3	8:10	-2	12	9	2	2	5	8:16	-8	8
17 ბრეშა	18	5	3	10	14:24	-10	18	9	2	2	5	5:11	-6	8	9	3	1	5	9:13	-4	10
18 პარმა	18	3	7	8	18:30	-12	16	9	2	5	2	11:10	1	11	9	1	2	6	7:20	-13	5
19 სიენა	18	3	7	8	14:26	-12	16	9	1	5	3	7:14	-7	8	9	2	2	5	7:12	-5	8
20 ატალანტა	17	1	7	9	13:24	-11	10	9	1	5	3	8:10	-2	8	8	0	2	6	5:14	-9	2

ბომბარდირები

ადრიანო (ინტერი)	14
მონტელა (რომა)	14
შევჩენკო (მილანი)	12
ბოჟინოვი (ლეჩე)	10
ტოტი (რომა)	10

XIX ტური

15-16 იანვარი

ატალანტა	:	სიენა
ბრეშა	:	ფიორენტინა
კალიარი	:	იუვენტუსი
კიევო	:	რომა
ლაციო	:	პალერმო
ლივორნო	:	მესინა
მილანი	:	უდინეზე
პარმა	:	ლეჩე
რეჯინა	:	ინტერი
სამპდორია	:	ბოლონია

სანახაობა სან სიროზე

ინტერი მეცამეტე ფრის გაქცევა

ალვარო რეკობამ საგოლედ მოიჭნია და „ინტერს“ სამი ქულა მოუტანა

ლიდერმა „იუვენტუსმა“ მაურო კამორანეზის წყვილი გოლით დაამარცხა „ლივორნო“. პაოლო დი კანიო კვლავაც გმირი იყო „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ შეხვედრისა. „რომამ“ დისკვალიფიკაციამოხდილი ვინჩენცო მონტელას გოლით დაამარცხა „ატალანტა“. ტურის ყველაზე საოცარი თამაში კი „სან სიროზე“ გაიმართა და უდიდესი შეცდომა დაუშვეს „ინტერის“ იმ გულშემატკივრებმა ნაადრევად რომ დატოვეს სტადიონი, აქაოდა აქ მეტი აღარაფერი მოხდებაო.

„სამპდორია“ ტონუტოს გოლით დაწინაურდა. მანჩინის გუნდმა, ცხადია, გასათანაბრებლად შეუტია, მაგრამ თვალნათლივ გამოჩნდა — როცა ადრიანო ფორმაში არ არის, „ინტერისთვის“ გოლის გატანა ურთულესი საქმეა. ადრიანო კი გუშინ აშკარად აჭრილი იყო.

მერე კი როგორც ხდება ხოლმე — უშედეგო შეტევაში გართული „ინტერი“ გენუელებმა კონტრიერიშზე გამოიჭირეს და „მილანიდან“ ნასესხებმა ბელარუსმა კუტუზოვმა მასპინძლებს მეორე გაუტანა. ამ დროს თამაშის 82-ე წუთი მიდიოდა და სწორედ მაშინ იყო, „ინტერის“ გულშემატკივრებმა სტადიონიდან წასვლა რომ დაიწყეს — ჩათვალეს, რომ მათ გუნდს სეზონში პირველი მარცხისგან ველარაფერი იხსნიდა. ამასობაში კი 88-ე წუთიც მოახლოვდა.

ამის მერე განვითარებულ მოვლენათა მშრალი ჩამონათვალი ასეთია: შეცვლაზე შესულმა ობეფამი მარტინსმა ცაცია მოიქნია და ერთი ბურთი გაქვითა. პირველ წამატებულ წუთზე ნიგერიელის მორიგი იერიში კრისტიან ვიერიმ მეორე გოლით დაასრულა. მეოთხე წამატებულზე კი ალვარო რეკობამ მესამე გაიტანა და „ინტერმა“ მოიგო.

რაც წინა აბზაცში მოვყეკით, სათქმელად იოლია, მაგრამ ახლა წარმოიდგინეთ, რა სიხარული ტრიალებდა ტრიბუნებზე და „ინტერის“ ბანაკში და რა ტრიალებმა გენუელთა გულებში...

„ინტერის“ მოგება უცნაური და საგმირო კი იყო, მაგრამ საბურნირო თვალსაზრისით ვერაფერი შეცვალა, ლიდერს იმდენივე ქულით ჩამორჩება.

„იუვენტუსმა“ ორი ფრის მერე ისევ გაიმარჯვა, თუმც „ლივორნო“ იოლად გასატეხი გეტოქე არ გამოდგა. ტურინელები ადრიანადვე დაწინაურდნენ ალესანდრო დელ პიეროს და მაურო კამორანეზის გოლებით, რის მერეც ბარე ორი გუნდი ბრძოლას შეწყვეტდა. „ლივორნო“ კი სხვანაირი გუნდია, პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ჟორჟე ვიდიგალმა პირველი ტაიმის მიწურულს სხვაობა შეამცირა.

მეორე ტაიმში ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ტურინელთა მესამე გოლი გაიტანა, მაგრამ ლივორნოელებმა ისევ გაიბრძოლეს და მატეო მელარამ სხვაობა ერთხელაც შეამცირა. ბოლოს კამორანეზიმ პენალტით მეოთხეც გაიტანა და თამაშიც ასე დამთავრდა.

„ბოლონია“ ნელ-ნელა ფერზე მოდის, „კიევოსთან“ გამარჯვების მერე გასავარდნ ზონას ოთხი ქულით ასცდა, აი, „მფრინავ ცირეებზე“ კი რა გითხრათ — მათ ბოლო ექვს მატჩში ხუთი წააგეს.

ვერონელთა მორიგ ძლევაში გამორჩეული წვლილი იკლი ტარემ შეიტანა, ვინაც ერთი გოლი და ერთიც საგოლე პასი მიითვალა. მართალია, „კიევოს“ ერთ ხანს თამაშის გადარჩენის იმედიც გაუჩნდა — ანდრეა ძანჩეტას საპასუხოს მერე — მაგრამ კლაუდიო ბელუჩის პენალტმა ეს იმედი ჩაკლა.

ჯუზეპე პაპადოპულომ კი რომაელ გულშემატკივრებს იმედი, პირიქით, ახალი ძალით გაუღვივა. „ლაციოს“ ახალი მწვრთნელი, რომაულ დერბიში გამარჯვების მერე, ფლორენციიდანაც გამარჯვებული დაბრუნდა. ამასთანავე, ისევე როგორც „რომასთან“, ამჯერადაც მატჩის გმირი პაოლო დი კანიო შეიქნა, ვინაც ლაციოელთა ყველა იერიშის სულისჩამდგმელი გახლდათ.

ამასობაში მოიგო „რომამაც“. ვინჩენცო მონტელამ თითო ტაიმში თითო გოლი შეაგდო და „ატალანტა“ კვლავ ცხრილის ფსკერზე გაწოლილი დატოვა.

კოტე კეკელია

ზლატან იბრაჰიმოვიჩის „იუვენტუსი“ ერნან კრესპოს „მილანს“ უკვე ოთხი ქულით უსწრებს

სერია B

XIX ტური

კატანძარო — ჯენოა 1:1; ჩეზენა — ალბინოლეფე 2:1; ემპოლი — ტრევიზო 0:1; მოდენა — კატანია 1:0; ფერუჯა — ასკოლი 2:0; პესკარა — ბარი 2:2; პიაჩენცა — კროტონე 3:0; სალერნიტანა — ვერონა 1:2; ტორინო — ტერნანა 2:1; ვენეცია — არეცო 1:2; ვიჩენცა — ტრიესტინა 2:1

XX ტური

ალბინოლეფე 2:1 ტორინო

0:1 მარაცინა (6), 1:1 გორი (57), 2:1 პოსანგინი (69)

ასკოლი 3:2 სალერნიტანა

1:0 ბუკი (12), 2:0 კაპარელა (22), 2:1 ლონგო (33), 2:2 მენდილი (54), 3:2 მონტიჩოლო (59)

კატანია 1:1 ვენეცია

1:0 ფერანტე (2), 1:1 ერპენი (58)

კროტონე 3:0 პესკარა

1:0 პარო (15), 2:0 გუცმანი (68), 3:0 ვანტაჯატო (85)

ჯენოა 1:0 პიაჩენცა

1:0 ტედესკო (45)

ტერნანა 1:0 ჩეზენა

1:0 ფრიკი (55)

ტრევიზო 1:2 მოდენა

1:0 ბარეტო (17), 1:1 ტროიანო (22), 1:2 ფაბრინი (55)

ტრიესტინა 0:0 პერუჯა

ვერონა 4:1 კატანძარო

1:0 პაპა ვიაგო (39), 2:0 ბოგდანი (40), 2:1 ვიკარი (69), 3:1 ბოგდანი (70), 4:1 პაპა ვიაგო (88)

არეცო — ემპოლი

ბარი — ვიჩენცა

დღეს გაიმართება

ჯენოა	20	12	7	1	41:18	43
ტორინო	20	11	4	5	26:17	37
პერუჯა	20	10	6	4	29:18	[illegible]
ვერონა	20	10	5	5	41:27	[illegible]
ემპოლი	19	10	4	5	30:18	[illegible]
ასკოლი	20	9	5	6	27:25	[illegible]
ტრევიზო	20	8	5	7	24:24	[illegible]
პიაჩენცა	20	9	2	9	[illegible]	[illegible]
ალბინოლეფე	20	7	6	7	[illegible]	[illegible]
მოდენა	20	9	3	8	[illegible]	[illegible]
კატანია	20	6	8	6	[illegible]	[illegible]
ვიჩენცა	19	8	1	10	31:32	[illegible]
არეცო	19	5	9	5	[illegible]	[illegible]
ტრიესტინა	20	6	6	8	23:28	[illegible]
ტერნანა	20	6	6	8	[illegible]	[illegible]
ჩეზენა	20	6	6	8	25:31	[illegible]
სალერნიტანა	20	6	4	10	26:35	[illegible]
კროტონე	20	5	6	9	21:27	[illegible]
პესკარა	20	4	8	8	19:29	[illegible]
ბარი	19	4	8	7	18:22	[illegible]
კატანძარო	20	4	5	11	19:35	[illegible]
ვენეცია	20	3	6	11	15:26	[illegible]

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4 ქულა, „ბარის“ 1

სერია C1/A

XVII ტური

აკირეალე — ვიტორია 1:0; კრემონეზე — გროსეტო 0:1; ფ. ანდრია — სპეცია 1:1; ფროზინონე — პისტოიეზე 1:0; ლუკეზე — სანჯოვანეზე 0:0; ნოვარა — კომო 2:3; პავია — ლუმეცანე 1:0; პრატო — პრო პატრია 0:1; ს. ტორესი — მანტოვა 1:2

XVIII ტური

გროსეტო — ფროზინონე 1:0; ლუმეცანე — აკირეალე 2:0; პიზა — კრემონეზე 0:1; პისტოიეზე — კომო 2:2; პრო პატრია — ს. ტორესი 4:1; სანჯოვანეზე — ნოვარა 2:0; სპეცია — პრატო 3:0; ვიტორია — ფ. ანდრია 1:0. მანტოვა — ლუკეზე დღეს გაიმართება

სერია C1/B

XVII ტური

აველინო — სპალ 1:2; ბენევენტო — ფერმანა 1:1; კიეტი — რიმინი 0:1; ჩიტადელა — სორა 1:1; ნაპოლი — ჯულიანოვა 3:0; რეჯანა — ლანჩანო 0:0; სამბენედეტეზე — პადოვა 3:1; ტერამო — მარტინა 4:0; პეზარო — ფოჯა 1:0

XVIII ტური

ჩიტადელა — ბენევენტო 5:2; ფერმანა — ტერამო 0:1; ფოჯა — რეჯანა 2:1; ჯულიანოვა — სამბენედეტეზე 2:1; ლანჩანო — აველინო 0:1; მარტინა — კიეტი 3:0; რიმინი — პადოვა 2:0; სორა — სპალ 0:0; პეზარო — ნაპოლი 1:1

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი

გადადებული მატჩი

რეალი 2:1 სოსიედადი

1:0 რონალდო (42), 1:1 ნიჰათი (73), 2:1 ზიდანი (88პ)

XVIII ტური

ვილიარეალი 3:0 ბარსელონა

1:0 ფორლანი (29), 2:0 გონსალო (47), 3:0 ფორლანი (85)

ვილიარეალი: რეინა, გონსალო, ხავი ვენტა, პენია, არმანდუ სა, ხოსიკო, რიკელმე (არზო 90), ექტორ ფონტი, მარკოს სენა, ფორლანი, გიარე (ხოსე მარი 69)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

ბარსელონა: ვ. ვალდესი, დამია (ინესტა 57), პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო, ხავი, მარკესი, ჟიული, დეკო, რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ექტორ ფონტი, დეკო

მსაჯი: ველასკო კარბალიო

23 000 მაყურებელი

ატლეტიკო 0:3 რეალი

0:1 რონალდო (14), 0:2 სოლარი (81), 0:3 რონალდო (84)

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, აგილერა (მოლინერო 46), პერეა, პაბლო, მარსელო სოსა, გრონკიაერი, იბაგასა, ლუქსენი (ნანო 76), ფ. ტორესი, სალვა (პაუნოვიჩი 67)

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

რეალი: კასილიასი, არბელოა, ი. ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სელადესი 85), ბექემი, სოლარი, ზიდანი (ოუენი 87), რაული, რონალდო (მორიენტესი 85)

მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

გაფრთხილება: ლუქსენი, ბექემი, ანტონიო ლოპესი, პაბლო, ფიგუ

მსაჯი: პერეს ბურული

54 000 მაყურებელი

ვალენსია 2:1 ლევანტე

1:0 ბარახა (54), 2:0 მისტა (59), 2:1 კონგო (73)

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მ. კანეირა, მარჩენა, ფიორე (ხისკო 87), მორეტი, ბარახა, რუფეტე (ანგულო 82), აიმარი, მისტა (კორადი 80)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ლევანტე: მორა, ალექსისი, პინილიოსი, ხესულე, კულებრასი, ეტიენი, რივერა, ხოფრე (ნაჩო 68), სელესტინი, სერხიო გარსია (კონგო 68), მანჩევი (რეგი 84)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

გაფრთხილება: კანეირა, პინილიოსი, ალექსისი, მარჩენა, ნაჩო, ანგულო

მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი

50 000 მაყურებელი

მალიორკა 2:2 დეპორტივო

0:1 ლუკე (50), 1:1 ლუის გარსია (56), 1:2 ლუკე (62), 2:2 ოკუბო (64)

მალიორკა: ვესტერფელდი, რამისი, დავიდ კორტესი, ოკუბო, ბალესტეროსი, დე ლოს სანტოსი, კამპანო, ფარინოსი (პერეირა 77), არანგო, ლუის გარსია, ტუნი (კამპოსი 78)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, მ. სესარი, ჟორჟე ანდრადე, მაურო სილვა (დუშერი 83), სერხიო, ვალერონი, მუნიტისი, ტრისტანი (ფრანი 65), ლუკე (პანდიანი 70)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ტუნი, ჟორჟე ანდრადე, ლუკე, ბალესტეროსი, სესარი, რამისი

მსაჯი: ლიზონდო კორტესი

15 000 მაყურებელი

ვანდერლეი ლუშემბურგოს დებიუტი შვიდწუთიან მატჩში შედგა

ექვვიტანილი ლუშემბურგოს უეჭველი რეკორდი

რიკელმემ ბარსაზე შური იძია

ნუმანსია 1:1 ბილბაო

0:1 დელ ორნო (45), 1:1 ტევენეტი (65)

ნუმანსია: ხუანმა, გრაფი, ოჩოა, ანტონიო, ხუან პაბლო, პაბლო სანსი, ხუანლუ, პალასიოსი, ტევენეტი, პინედა (მიგელი 81), ოსორიო (ჩ. ლი 46)

მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი

ბილბაო: არანსუბია, ლუის პრიეტო, ორბაისი, მურილიო, დელ ორნო, ირაოლა (ხონანი 74), გურპეგი, ტიკო, ესკერო, ეჩებერია, არიაგა (ურსაისი 74)

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

გაფრთხილება: პალასიოსი, პაბლო სანსი, ლუის პრიეტო, მურილიო

მსაჯი: მედინა კანტალეხო

10 000 მაყურებელი

სარაგოსა 1:0 ბეტისი

1:0 სავიო (43)

სარაგოსა: ლუისი, არანსაბალი (დავიდ პირი 83), ალვარო, გ. მილიტო, ჩანი, სავიო (გალეტი 70), პონციო, ოსკარი (სორიანო 79), მოვილია, საპატერი, ვილა

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, რივასი, ტაისი, მელი, ფერნანდო (ისრაელი 66), კანიასი (ალფონსო 61), ხოაკინი, მ. ასუნსაო, რ. ოლივეირა, ედუ

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: ოლივეირა, მელი, ასუნსაო, მილიტო, არანსაბალი

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

30 000 მაყურებელი

ესპანიოლი 4:1 ოსასუნა

0:1 ვებო (16), 1:1 მაქსი როდრიგესი (31), 2:1 ფრედსონი (37), 3:1 დე ლა პენია (40), 4:1 ფრედსონი (82)

ესპანიოლი: კამენი, იბარა (სოლდევილა 87), დავიდ გარსია, ლოპო, ბოჩეტინიო, დე ლა პენია (ამავისკა 76), იტო, ფრედსონი, მაქსი როდრიგესი (ველასასანი 89), ტამუდო, ოსკარ სერანო

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

ოსასუნა: ელია, კრუჩაგა, ხოსეჩო, ექსპოზიტო, კორალესი, პაბლო გარსია, პუნიალი, ვალდო (ორტისი 46), დელპორტი (მოა 56), ვებო, ჩენგე მორალესი (მილოშევიჩი 71)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: პაბლო გარსია, დელპორტი, ფრედსონი, კრუჩაგა, ექსპოზიტო, ხოსეჩო, მოა

მსაჯი: პერეს ლასა

25 000 მაყურებელი

სოსიედადი 0:2 ალბასეტე

0:1, 0:2 პაჩეკო (6, 48)

სოსიედადი: რიესგო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, კარპინი (პრიეტო 57), არანბურუ, გაბილონდო (გარი ურანგა 57), მიკელ ალონსო, გარიდო, კოვაჩევიჩი, ნიჰათი

მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ

ალბასეტე: გასპერჩიჩი, გასპარი, რუბენი, მარკ გონსალესი, პაკო პენია, ბუადესი (ოსკარ მონტიელი 46), ხაიმე (ვიაუდი 65), რედონდო, ალვარო, ფრანსისკო (მიკელი 79), პაჩეკო

მწვრთნელი: ხოსე გონსალესი

გაფრთხილება: ხაიმე, რიესგო, გასპარი, კოვაჩევიჩი, ლუის ალბერტო, ფრანსისკო

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

22 000 მაყურებელი

სევილია 0:0 ხეტაფე

სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, აიტორ ოსიო, სერხიო რამოსი, დანიელ ალვესი, ბაპტისტა, რენატო (ანტონიტო 80), ხესული (კაპელი 68), მარტი, კარლიტოსი (მაკუკულა 53)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

ხეტაფე: სანჩეს ბროტო, მიგელ პერნია, ნანო, პულიდო, ბელენგერი, დ. რივასი, გაბი, ვივარ დორადო, მარიო კოტელო, კრაიოვიანუ (მიჩელი 78), რიკი (კომე 86)

მწვრთნელი: კიკე ფლორესი

გაფრთხილება: ვივარ დორადო, რენატო, მარიო კოტელო, ბაპტისტა, მაკუკულა, გაბი, ხავი ნავარო, რივასი

მსაჯი: მორენო დელგადო

30 000 მაყურებელი

რასინგი 2:1 მალაგა

1:0 ხავი გერერო (26), 2:0 რეგუერო (40), 2:1 ნავასი (86)

რასინგი: აუატე, ორიოლი, პედრო ლოპესი, ხუანმა, მორანი (აგანსო 81), რეგუერო, ტორადო, დ. ანდერსონი (ნაფტი 76), ბერტინი, ხავი გერერო, ბენაიუნი

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

მალაგა: კალატაიუდი, ვალკარსე, ჯ. ნავასი, ხუანიტო, დუდა, მიგელ ანხელი, ხავი როდრიგესი, ალექსისი, უსერო, ამოროზო (ედგარი 50), გეიხო (პაკო ესტებანი 62)

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: ხავი როდრიგესი, ანდერსონი, ამოროზო, ბერტინი, ალექსისი, ალექსისი, ხუანიტო

გაძევება: ალექსისი (87), ნაფტი (88), მიგელ ანხელი (88)

მსაჯი: პინო სამორანო

14 000 მაყურებელი

ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, პირველ რიგში იმ მატჩზე უნდა ვთქვათ, შარშან რომ დაიწყო და მხოლოდ წლეულს დამთავრდა. „რეალისა“ და „სოსიედადის“ ვერდამთავრებულ მატჩზე მოგახსენებთ, რომელიც, გეხსომებათ, ბასკტერორისტთა მუქარის გამო შეწყდა, თუმცა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბომბი არ აღმოჩნდა. ასე ვთქვათ, ბოროტი ხუმრობა გამოდგა. მატჩის დასრულებას დაკლებული 7 წუთი კი გუნდებმა 5 იანვარს ითამაშეს.

ეს მატჩი მით უფრო უნდა ვახსენოთ, რომ ძნელად თუ ეჯერებოდა ვინმეს, ამ შვიდ წუთში რამე თუ შეიცვლებოდა. არადა, შეიცვალა — რონალდო საკარიმოში წააქციეს და ზინედინ ზიდანმა პენალტი ისე უნაკლოდ შეასრულა, რომ სანსებასტიანელთა მეკარეს კუთხის გამოცნობამაც ვერ უშველა.

ამავდროულად, ეს 7 წუთი სხვა რამითაც იყო გამორჩეული — „რეალის“ სათადარგოთა სკამზე ახალი მწვრთნელი იჯდა.

გეხსომებათ, რომ ფლორენტინო პერესიც, ემილიო ბუტრაგენიოც და მადრიდელთა ახალი სპორტული დირექტორი არიგო საკიც შეხმატკბილებულად იახდნენ, მარიანო გარსია რემონს საკუთარი თავისით ვენდობით და მწვრთნელის შეცვლა გულშიაც არ გაგვივლია. მაგრამ გულში აბა, ვინ ჩაგახედებს. ერთი სიტყვით, „რეალში“ ვანდერლეი ლუშემბურგი მიიყვანეს.

ლუშემბურგოზე თავის დროზე ბევრს ვწერდით. ერთი, რომ პარაზილიის ნაკრების მწვრთნელი იყო და რაც მთავარია, დასაჭერად ჰქონდა საქმე.

გავიხსენოთ: ლუშემბურგის მწ-

ფერნანდო ტორესი

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ბარსელონა	18	13	3	2	35:14	21	42	9	8	1	0	22:4	18	25	9	5	2	2	13:10	3	17
2	რეალი	18	11	2	5	29:13	16	35	9	7	0	2	18:4	14	21	9	4	2	3	11:9	2	14
3	ვალენსია	18	10	5	3	29:13	16	35	10	7	2	1	17:6	11	23	8	3	3	2	12:7	5	12
4	ესპანიოლი	18	10	3	5	22:13	9	33	9	6	2	1	13:6	7	20	9	4	1	4	9:7	2	13
5	სევილია	18	9	5	4	21:18	3	32	9	7	2	0	14:4	10	23	9	2	3	4	7:14	-7	9
6	ბეტისი	18	7	6	5	22:21	1	27	9	5	3	1	13:11	2	18	9	2	3	4	9:10	-1	9
7	ოსასუნა	18	8	3	7	28:29	-1	27	9	6	2	1	19:10	9	20	9	2	1	6	9:19	-10	7
8	ვილიარეალი	18	6	7	5	24:14	10	25	9	5	3	1	15:2	13	18	9	1	4	4	9:12	-3	7
9	ბილბაო	18	7	4	7	25:21	4	25	9	6	2	1	17:7	10	20	9	1	2	6	8:14	-6	5
10	ატლეტიკო	18	7	4	7	18:17	1	25	9	6	2	1	12:7	5	20	9	1	2	6	6:10	-4	5
11	სარაგოსა	18	7	4	7	25:26	-1	25	9	6	0	3	17:12	5	18	9	1	4	4	8:14	-6	7
12	დეპორტივო	18	5	8	5	24:27	-3	23	9	2	4	3	12:17	-5	10	9	3	4	2	12:10	2	13
13	სოსიედადი	18	6	4	8	22:23	-1	22	9	4	2	3	9:10	-1	14	9	2	2	5	13:13	0	8
14	ლევანტე	18	6	3	9	19:26	-7	21	8	4	2	2	9:6	3	14	10	2	1	7	10:20	-10	7
15	ხეტაფე	18	5	4	9	16:21	-5	19	9	5	0	4	11:9	2	15	9	0	4	5	5:12	-7	4
16	ალბასეტე	18	4	7	7	17:24	-7	19	9	2	4	3	6:8	-2	10	9	2	3	4	11:16	-5	9
17	რასინგი	18	5	4	9	17:26	-9	19	9	3	4	2	11:10	1	13	9	2	0	7	6:16	-10	6
18	მალაგა	18	4	3	11	13:29	-16	15	9	3	2	4	9:13	-4	11	9	1	1	7	4:16	-12	4
19	მალიორკა	18	3	5	10	17:30	-13	14	9	1	3	5	11:16	-5	6	9	2	2	5	6:14	-8	8
20	ნუმანსია	18	3	4	11	11:29	-18	13	9	3	4	2	8:9	-1	13	9	0	0	9	3:20	-17	0

სანტიაგო სოლარიმ ლეო ფრანკოს შანსი არ დაუტოვა

„ბარსას“ დამარცხებაში ხუან რიკელმემ ლომის წილი დაიდო

ვრთნელობისას ნაკრებში რამდენიმე ათეულმა ფეხბურთელმა ითამაშა, რომელთაგან ბევრი თვითონ ბრაზილიაში არ იცოდნენ ვინ იყო. ლუშემბურგოს კი აბრალებდნენ, ვინც ქრთამს მისცემს, იმას იწვევს ნაკრებშიო. ეს ბრალდება სიმართლესთან ძალიან ახლოსაც იყო, მით უმეტეს, მწვრთნელის ანგარიშებზე ბლომად გაურკვეველი წარმომავლობის ფულიც იპოვეს, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი დაუმტკიცეს და ლუშემბურგო, რომ იტყვიან, წყლიდან მშრალი გამოვიდა.

თუმცა ძველი ცოდვები იქით იყოს, ლუშემბურგოს კარიერაში ახალი ეტაპი დადგა და ვაღიაროთ, რომ დასაწყისი ისეთია, უკეთესი რა უნდა იყოს. ლუშემბურგომ ის შვიდი წუთი ხომ მოიგო, გუშინ კი მადრიდულ დერბიშიც გამარჯვებული დარჩა.

თუმცა ისიც არის, რომ გუშინდელ გამარჯვებაში იღბალიც წაეხმარა. „ატლეტიკოს“ რამდენიმე ისეთი მომენტი ჰქონდა, ვერგატანა წარმოუდგენელი ჩანდა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც ვერ გაიტანეს. თუნდაც ის ეპიზოდი რად ღირს, ფერნანდო ტორესმა ცარიელ კარს სამიოდ მეტრიდან რომ ააცილა. იმ დროისთვის „რეალი“ 1:0 იგებდა და ტორესს რომ გაეტანა, ვინ იცის, თამაში როგორ შეტრიალდებოდა. მსგავსი მომენტები კი, გავიმეოროთ, „ატლეტიკოს“ არაერთი ჰქონდა. ამის საპირისპიროდ, რონალდომ სულ ორჯერ დაარტყა კარში და ორი გოლი მითვალა. ერთიც ყოფილმა ატლეტიკოელმა, სანტიაგო სოლარიმ გაიტანა. ამით „ატლეტიკოს“ წაუგებელი სერია „ვისენტე კალდერონზე“ შეწყდა.

ამ ტურში სხვა დერბიც იყო, ნაკლებ ცნობილი, მაგრამ ისეთი, მთელი 40 წელი რომ ელოდნენ — ვალენსიური.

ჩემპიონი მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდა რუბენ ბარახას გოლით, ვისაც დიდებული ასისტენტობა გაუწია ფრანსისკო რუფეტემ. ხუთ წუთში მისტამ მეორეც გაიტანა, თუმცა ეს სადავო გოლი იყო — დანამდვილებით ძნელი სათქმელია, ბურთმა გადაკვეთა თუ არა კარის ხაზი. თუმცა კამათს აზრი აღარც აქვს, გოლი ჩაითვალა და „ლევანტეს“ ედვინ კონგოს ერთმა საპასუხო გოლმა ვერ უშველა.

„რეალის“ და „ვალენსიას“ გამარჯვებებს ორმაგი ფასი დაედო — „ბარსელონამ“ ვილიარეალში წაგო და მდევრები შვიდ ქულამდე მიუახლოვდნენ. შვიდი ქულა ჯერჯერობით ბევრია, მაგრამ როცა მთელი წრე წინ არის, არც ისე უსაშველო სხვაობად მოჩანს კატალონიელებს სანერვიულო რომ არაფერი ჰქონდეთ.

„ვილიარეალის“ გამარჯვება კი ყოფილმა ბარსელონელმა, რომან რიკელმემ გამოჭედა, ვინაც მთლიანად დაპატრონებოდა მოედნის შუაგულს და ორი საგოლე პასიც გაკეთა.

ცხრილის ფსკერზე მყოფებმა კი ერთიც გაიბრძოლეს. „ნუმანსიამ“ და „მალიორკამ“ მეტოქეებს თითო ქულა აართვეს.

სორიელები პირველი ტაიმის მერე მარცხდებოდნენ „ბილბაოსთან“, მაგრამ ბასკები მეკარე დანიელ არანსუბიამ დააღალატა, ლუის ევენეტის 30 მეტრიდან დარტყმული ვერ დაიჭირა.

„მალიორკა“ კი ორჯერ აგებდა „დეპორტივოსთან“ და ორჯერვე გაუთანაბრა. თანაც ამ მატჩში გოლები წყვილ-წყვილად გავიდა, კუნძულელები თითქოს ელოდებოდნენ, როდის გაუტანდნენ, რომ დაუყოვნებლივ გაეთანაბრებინათ. ამგვარად, „დეპორტივოს“ უკვე ექვსი ტურია, არ მოუგია.

„რასინგმა“ კი პირველად მოიგო ბოლო რვა შეხვედრაში, თუმცა მეტოქე თავისზე წყალწაღებული ჰყავდა — „მალაგას“ ბოლო თორმეტ შეხვედრაში მხოლოდ ერთი აქვს მოგებული.

უცნაურად არ მოგეჩვენოთ და, სევილიაში ფრით გულგატეხილი დარჩა „ხეტაფე“, რაკი მეოთხეადგილოსანთან ხეტაფელებს იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, მოგებას ალალად იმსახურებდნენ. ასე კი, კლავაც საგარეო გამარჯვების გარეშე დარჩნენ.

კოტე კეკელია

მადრიდულ დერბის საპატიო სტუმრები მრავლად ჰყავდა

ბომბარდირები

ეტო (ბარსელონა)	13
რონალდო (რეალი)	10
ფორლანი (ვილიარეალი)	9
რ. ოლივეირა (ბეტისი)	9
ბაჭისტა (სევილია)	8
ნიასთი (სოსიედადი)	8
ურსაიხი (ბილბაო)	8
ლუკე (დეპორტივო)	8
მაჩი როდრიგესი (ესპანიოლი)	8

XIX ტური

15-16 იანვარი

ალბასეტე	:	რასინგი
ბილბაო	:	ესპანიოლი
დეპორტივო	:	ნუმანსია
ბეტისი	:	მალიორკა
რეალი	:	სარაგოსა
ხეტაფე	:	ატლეტიკო
მალაგა	:	სევილია
ოსასუნა	:	ვალენსია
ბარსელონა	:	სოსიედადი
ლევანტე	:	ვილიარეალი

სეგუნდადივიზიონი

XIX ტური

მალაგა B 3:1 სიუდად მურსია
0:1 აგილარი (11), 1:1 აბელი (13), 2:1 კალდერონი (40), 3:1 ადორი (89)

კორდობა 0:2 ელჩე
0:1 ალფრედო (12), 0:2 ასკოიტია (22)

სალამანკა 4:5 ტენერიფე
1:0 კანიასი (3), 1:1 იდალგო (193), 2:1 აურელიო (25), 2:2 იდალგო (31), 3:2 ლუპიდიო (403), 4:2 ბრიტი (42), 4:3 კრისტო (71), 4:4 იდალგო (78), 4:5 ხესუსი (86)

ფერროლი 3:0 ტერასა
1:0 მარიო (173), 2:0 რუბენი (28ს.კ.), 3:0 მარიო (49)

სელტა 2:1 ხერესი
1:0 სერხიო (24), 1:1 დელ პინო (38), 2:1 კანობიო (89)

პოლი ეხიდო 0:3 ვალიადოლიდი
0:1 ლოსადა (26), 0:2 ოსკარ სანჩესი (30), 0:3 ადურიცი (42)

კადისი 4:0 პონტევედრა
1:0 ნავარეტე (8), 2:0 პავონი (69), 3:0 ხონათანი (80), 4:0 ხუან ვარელა (833)

მურსია 1:0 ეიბარი
1:0 ხავი ალვარესი (89)

უელვა 3:0 ლეიდა
1:0 ხავი ხიმენესი (57), 2:0 რამონი (68), 3:0 უჩე (813)

სპორტინგი 1:0 ალმერია
1:0 იზურზუნი (38)

ალავესი 1:1 ხიმნასტიკი
1:0 ნენე (30), 1:1 დ. ტორესი (85)

კადისი	19	12	4	3	32:10	40
ალავესი	19	10	6	3	33:21	36
ელჩე	19	10	4	5	28:20	34
ვალიადოლიდი	19	9	6	4	29:21	33
სელტა	19	8	9	2	26:18	33
ეიბარი	19	9	4	6	24:20	31
ფერროლი	19	7	9	3	26:16	30
უელვა	19	8	6	5	18:12	30
ხიმნასტიკი	19	8	5	6	19:18	29
სპორტინგი	19	7	6	6	19:17	27
ხერესი	19	7	6	6	16:17	27
ტენერიფე	19	6	8	5	22:24	26
ლეიდა	19	7	4	8	19:23	25
ალმერია	19	6	6	7	17:16	24
პოლი ეხიდო	19	6	6	7	20:20	24
მალაგა B	19	6	5	8	18:24	23
ტერასა	19	6	3	10	21:27	21
სალამანკა	19	5	5	9	23:28	20
მურსია	19	5	4	10	14:25	19
სიუდად მურსია	19	2	9	8	21:33	15
პონტევედრა	19	2	6	11	17:33	12
კორდობა	19	1	3	15	7:26	6

პორტუგალია

სუპერლიგა. XVII ტური

სპორტინგი 2:1 [illegible]
1:0 ლიდსონი (22), 1:1 ნუნუ [illegible], 2:1 ლიდსონი (69)

ბოავიშტა 2:1 გიმარაესი
1:0 ზე მანელი (283), 1:1 ალეგრი (56), 2:1 დიოგო ვალენტე (90)

ეშტორილი 2:1 სეტუბალი
0:1 მეიონგი (11), 1:1 ბუბა (63), 2:1 [illegible] სიმუ (83ს.კ.)

მორეირენსე 1:0 აკადემიკა
1:0 მანოელი (43)

ბეირა მარი 1:4 ბრაგა
1:0 ჟ. მიურეი (43), 1:1 ვენდერი (66), 1:2 ჟოაუ ალვეში (68), 1:3 სესინია (75), 1:4 ჟოაუ ტომაში (75)

ბელენენსეში 0:1 ჟილ ვისენტე
0:1 ნანდინიუ (38)

პენაფიელი 0:1 ნასიონალი
0:1 გუვეია (74)

პორტუ 1:1 რიუ ავე
0:1 გაუშუ (28), 1:1 ლუის ფაბიანო (77)

ლეირია — მარიტიმუ
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-15 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

სპორტინგი	16	9	4	3	35:20	31
პორტუ	16	8	6	2	22:10	30
ბოავიშტა	16	9	3	4	20:17	30
ბრაგა	16	8	5	3	24:13	29
ბენფიკა	16	8	4	4	24:18	28
სეტუბალი	16	7	3	6	21:19	24
ლეირია	15	5	7	3	18:15	22
რიუ ავე	16	4	10	2	21:19	22
მარიტიმუ	15	5	7	3	17:15	22
ჟილ ვისენტე	16	5	4	7	18:18	19
გიმარაესი	16	5	4	7	16:18	19
ბელენენსეში	16	5	3	8	25:24	18
ეშტორილი	16	5	3	8	19:22	18
ნასიონალი	16	5	3	8	17:24	18
პენაფიელი	16	5	2	9	17:30	17
მორეირენსე	16	3	6	7	15:24	15
ბეირა მარი	16	3	5	8	16:33	14
აკადემიკა	16	3	3	10	14:23	12

II ლიგა. XVI ტური

ოვარენსე — მაია 3:2; ავეში — პორტიმონენსე 1:3; ვარზიმი — ფეირენსე 0:1; ესპინიუ — შავეში 0:0; სანტა კლარა — ამადორა 0:0, გიმარდომარი — მარკუ 0:1; ალვერკა — ფელგეირაში 1:0; ოლიანენსე — ლეიშოეში 3:1; ფერეირა — ნავალი 3:2

ამადორა	16	8	6	2	23:12	30
ფერეირა	16	8	6	2	26:18	30
ნავალი	16	8	4	4	26:15	28
ოვაირენსე	16	8	4	4	25:22	28
მაია	16	8	3	5	21:15	27
მარკუ	16	7	6	3	23:18	27
ოლიანენსე	16	7	4	5	20:17	25
ლეიშოეში	16	6	4	6	18:16	22
ავეში	16	7	1	8	19:18	22
პორტიმონენსე	16	6	3	7	21:22	21
გონდომარი	16	5	4	7	13:16	19
სანტა კლარა	16	5	3	8	16:21	18
ფეირენსე	16	5	3	8	16:26	18
ესპინიუ	16	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	12
ალვერკა	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	17
ფელგეირაში	16	4	4	8	[illegible]	16
ვარზიმი	16	4	4	8	16:22	16
შავეში	16	3	6	7	5:14	15

თასის 1/16 ფინალი

სპორტინგი 4:1 პამპილოზა

ბელგია

მეორე კლასი. XVIII ტური

გენელი — დესელი 0:0, ანტვერპენი — დაინცე 4:2; ეუპენი — ტუბიცე 0:1; ვიზეტი — კორტრაიკი 0:1; რუზელარე — ვირტონი 4:1; სენტ ჟილი — ვაასლანდი 3:2; ვარეგემი — აალსტი 4:0

ვარეგემი	19	11	5	3	42:23	38
ანტვერპენი	19	12	2	5	33:18	38
რონსი	18	10	4	4	25:16	34
რუზელარე	19	9	5	5	26:16	32
გენელი	19	9	4	6	30:21	31
ვაასლანდი	19	8	5	6	31:29	29
ვირტონი	19	7	7	5	25:27	28
პატრო	18	7	5	6	24:27	26
ტუბიცე	19	7	4	8	26:26	25
ჰეუსდენი	19	6	7	6	21:19	25
დაინცე	19	7	4	8	31:41	25
კორტრაიკი	19	7	2	10	26:31	23
სენტ ჟილი	19	6	4	9	20:25	22
დესელი	19	5	7	7	17:24	22
ეუპენი	19	4	7	8	27:34	19
ვიგორი	19	4	6	9	23:28	18
აალსტი	19	4	6	9	21:33	18
ვიზეტი	19	3	4	12	21:33	13

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური

დანდი იუნ. 1:1 რეინჯერსი

1:0 მაკკრეკენი (11), 1:1 ნამუში (90)

დანფერმლაინი 3:1 დანდი იუნ.

1:0, 2:0 ტოდი (13, 28), 2:1 ბარეტი (40), 3:1 ტოდი (54)

ჰიბერნიანი 1:1 ჰართსი

1:0 რიორდანი (24), 1:1 ჰარტლი (55)

სელტიკი 2:1 ლივინგსტონი

1:0 ჰართსონი (15), 1:1 ჰამილტონი (36), 2:1 სატონი (573)

ინვერნესი 0:2 კილმარნოკი

0:1, 0:2 ინვინჩიბილე (79, 90)

ვოზერუელი 0:0 აბერდინი

სელტიკი	21	17	2	2	49:19	53
რეინჯერსი	21	15	5	1	43:10	50
ჰიბერნიანი	21	11	4	6	36:29	37
აბერდინი	21	10	6	5	23:19	36
მოზერუელი	21	9	3	9	28:27	30
ჰართსი	20	7	7	6	20:17	28
კილმარნოკი	21	8	2	11	29:36	26
დანფერმლაინი	21	5	5	11	20:30	20
ინვერნესი	21	4	7	10	20:31	19
დანდი იუნ.	21	3	7	11	20:34	16
ლივინგსტონი	20	4	4	12	17:32	16
დანდი	21	4	4	13	20:41	16

I დივიზიონი

XXI ტური

პარტიკი — ფოლკირკი 2:1; ერდრი — ქუინი 2:0; ჰამილტონი — სენტ ჯონსტონი 0:3; რეითი — როსი 1:4. *კლაიდი — სენტ მირენი გადაიდო*

XXII ტური

კლაიდი — ერდრი 1:0; ფოლკირკი — რეითი 2:0; ქუინი — ჰამილტონი 1:2; სენტ მირენი — პარტიკი 1:1; როსი — სენტ ჯონსტონი 4:0

II დივიზიონი

XIX ტური

არბროთი — ფორფარი 0:2; ეარი — სტრანრარი 0:1; ბრეჩინი — ბერვიკი 4:1; მორტონი — დამბარტონი 3:0. *ალოა — სტირლინგი გადაიდო*

XX ტური

არბროთი — სტრანრარი 0:4; ეარი — მორტონი 2:1; ბრეჩინი — ალოა 2:3; დამბარტონი — ფორფარი 1:1. *სტირლინგი — ბერვიკი გადაიდო*

III დივიზიონი

XIX ტური

კიუდენბითი — ისტ ფაიფი 1:1; მონტროუზი — გრეტნა 2:3. *ალბიონი — ქუინზ პარკი და ისტ სტირლინგი — სტენჰაუზმური გადაიდო*

XX ტური

ალბიონი — პიტერჰედი 0:4; ისტ ფაიფი — სტენჰაუზმური 2:0; ელგინი — მონტროუზი 2:2; ქუინზ პარკი — გრეტნა 1:1

გადადებული მატჩები

კიუდენბითი — ისტ სტირლინგი 3:2. *ალბიონი — ქუინზ პარკი და ელგინი — პიტერჰედი გადაიდო*

ასოციაციის თასი

VI ფინალი

სელტიკი 2:1 **რეინჯერსი**

1:0 სატონი (37), 1:1 რიკსენი (47), 2:1 ჰართსონი (77)

სელტიკი: დუგლასი, ბალდე, უ. ლაურსენი, მაკნამარა, ვარგა, მაკგიდი (ა. კამარა 84), ს. პეტროვი, ა. ტომპსონი, აგატი, ჰართსონი, სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

რეინჯერსი: შ. კლოსი, მ. ენდრიუსი, ჰატონი, ხიზანიშვილი, რიკსენი, ვინალი, ჯორდიჩი (ბუფელი 67), ნამუში (ს. ტომპსონი 81), ა. რაე, ნოვო, პრსო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ნამუში, რიკსენი, მაკნამარა, ჰართსონი

მსაჯი: ჰიუ დალასი

58 662 მაყურებელი

არბროთი — აბერდინი 0:2; ეარი — სტრანრარი 3:3; ბერვიკი — ბრეჩინი 0:3; კლაიდი — ფოლკირკი 3:0; ისტ ფაიფი — დანფერმლაინი 0:0; ჰიბერნიანი — დანდი 2:0; კილმარნოკი — მოზერუელი 2:0; მონტროუზი — ქუინზ პარკი 1:2; პარტიკი — ჰართსი 0:0; რეითი — ალოა 0:2; სენტ მირენი — ჰამილტონი 3:1; ინვერნესი — სენტ ჯონსტონი 1:0. გრეტნა — დანდი იუნაიტედი, ლივინგსტონი — მორტონი და როსი — ერდრი გადაიდო

ჰართსონმა რეინჯერსი კონტრაქტით გააფორმა

შოტლანდიის ასოციაციის თასის წილისყრა ბრმაა — კენჭების ტრიალში ერთმანეთს გლაზგოს „სელტიკი“ და „რეინჯერსი“ შეახვიეს. ასეთი მატჩის ხმა მხოლოდ შოტლანდიას კი არა, მთელ მსოფლიოს გასწვდება და არც ამჯერად ყოფილა გამონაკლისი. გლაზგოურ „ჰემპდენ პარკზე“ მარტინ ონილი ალექს მაკლიშს დაუხვდა და ირლანდიელის „სელტიკმა“ თასის მომდევნო ეტაპზე უელსელი ჯონ ჰართსონის გოლით გააღწია. ჰართსონმა კლუბთან რამდენიმე დღის წინ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ხელმოწერა ასეთ მნიშვნელოვანი გოლით აღნიშნა.

რაკი მატჩი „სელტიკის“ მშობლიურ ბალახზე იყო, მასპინძლებმა ყოველმხრივ დაცხრილეს თანაქალაქელ მეტოქეთა კარი. „თეთრ-მწვანეთა“ შემტევებს შტეფან კლოსის შეწუხება არ დაზარებიათ და სტუმართა მეკარე აქეთიქით ახტუნავეს. პირველი ტაიმის მიწურულს სელტიკელები კრის სატონის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე ნახევრის დასაწყისიდან ათ წუთში ფერნანდო რიკსენმა თავური დარტყმით დუგლასს გაუტანა და გაათანაბრა. თანაბარი ომის შემდეგ „თეთრ-მწვანეებმა“ იძალეს და უელსელმა ჰართსონმა „სელტიკის“ გამარჯვებისა გაიტანა. შედეგად „რეინჯერსი“, რომელიც ჩემპიონატშიც ჩამორჩება თანაქალაქელებს, ასოციაციის თასის გათამაშებას დაეშვიდობა.

ვაჟა ხუციშვილი



ჯონ ჰართსონის ამ დარტყმას „სელტიკის“ გამარჯვების გოლი მოჰყვა

მარსელს ტრუსიე ჩახადეს

მეორე დივიზიონის „ანჟემ“ ფილიპ ტრუსიეს „მარსელს“ ალიყური აჭამა — სტუმრად მოუგო და თასის გათამაშებიდან გააგდო. მარსელელმა ბენუა შეირუმ მეთერთმეტე წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში ანჟელებმა „ველოდრომის“ ტრიბუნებზე მსხდომ მაყურებლებს ფანტასტიკური ექვსი წუთი მიუძღვნეს. დიუსარმა გაათანაბრა, შემდეგ გურვენკმა „ანჟე“ დააწინაურა, ხოლო ტერომ მესამე გაუტანა მასპინძლებს. მარსელელთა მცველმა ფრედერიკ დეუმ მხოლოდ ანგარიშში სხვაობას შემცირება შეძლო, მაგრამ ზღვისპირელებმა გათანაბრება ვეღარ მოახერხეს და „მარსელი“ საფრანგეთის თასის გათამაშების მიღმა დარჩა. „თასი ერთ-ერთი ჩვენი საამსეზონო სამიზნე იყო, მაგრამ სამწუხაროა, რომ გამოგვაგდეს — თქვა „მარსელის“ მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ — მეტოქე ძალიან მოტივირებული შეგვხვდა და იოლად არ დაგვნებდა“.

სტივ მარლემ და „მარსელმა“ მეორედივიზიონელი „ანჟე“ ვერ გაიარეს

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

თასის ოცდამეთორმეტედფინალი

შატილიონი — ლიონი 0:2; მულუზი — კაენი 0:2; შილტინგემი — რეიმსი 0:2; ვესოლი — კლერმონი 1:1(პენ.5:6); ტარბე — კანი 0:3; ბოვე — ნიცა 0:4; მარსელი — ანჟე 2:3; სისინე — მონაკო 0:7; რე-ვალე — მენტონი 0:0(პენ.3:1); კალე — ოსერი 0:1; გამბშეიმი — ტულუზი 0:3; ტრუა — ალბი 1:2; ეპინალი — ბლუა 0:1დ.დ.(0:0); ბულონი — ავრანში 1:0დ.დ.(0:0); მონტანარდე — პონტივი 2:0; ტულონი — მონცო 3:0; სან დიჟერი — ლანსი 0:4; კევილი — გენგამი 1:0; როდეზი — მეცი 1:2; ბორდო — ისტრი 2:0; კურნონი — ნანტი 0:3; ლანჟო — ბსჟ 1:6; ლა ფლეში — ლიბურნი 1:2; საუმური — პარიზი 2:2(პენ.4:3); სოშო — ბასტია 1:0; ლილი — ლე მანი 2:1; სედანი — სტრასბური 3:1; ნანსი — აიაჩო 1:1(პენ.4:5); შატორუ — გრენობლი 2:3დ.დ.(2:2); რენი — ბრესტი 1:0დ.დ.(0:0); აჟენო — რომორანტინი 1:2დ.დ.(0:0); ნიმი — სენტ ეტიენი 3:2

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XIII ტური

კალითეა — ირაკლისი 2:1; კალამარია — ხალკიდონა 0:2; არისი — პანიონნიოსი 1:0; ერგოტელისი — ეგალეო 2:1; ქსანთი — ოფი 2:1; იონიკოსი — აეკ 2:3; ოლიმპიაკოსი — კერკირა 3:0; პანათინაიკოსი — პაოკ 2:1

XIV ტური

კალითეა — ქსანთი 2:3; ხალკიდონა — ეგალეო 1:1; პაოკ — კალამარია 5:2; ირაკლისი — არისი 0:0; ოფი — იონიკოსი 2:0; კერკირა — ერგოტელისი 0:1; აეკ — პანათინაიკოსი 1:0. *პანიონნიოსი — ოლიმპიაკოსი ჩაიშალა*

ოლიმპიაკოსი	13	9	3	1	27:7	30
აეკ	14	8	6	0	21:9	30
პანათინაიკოსი	14	9	2	3	22:7	29
ქსანთი	14	6	5	3	20:17	23
ოფი	14	5	4	5	21:18	19
ხალკიდონა	14	5	4	5	16:15	19
პაოკ	14	5	4	5	20:21	19
ეგალეო	14	3	9	2	12:11	18
კალითეა	14	4	4	6	20:22	16
პანიონნიოსი	13	4	4	5	8:12	16
ირაკლისი	14	4	3	7	13:18	15
იონიკოსი	14	4	3	7	10:19	15
არისი	14	2	8	4	10:14	14
ერგოტელისი	14	4	2	8	13:23	14
კერკერა	14	3	3	8	10:18	12
აპოლონი	14	2	4	8	10:22	10

გუშინ საბერძნეთის ჩემპიონატში „პანიონიოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ მატჩი ისე ჩაიშალა, რომ არც დაწყებულა. მიზეზი თამაშამდე ერთი საათით ადრე დაწყებული ჩხუბი იყო, რომელშიც ცხრა პოლიციელი დაშავდა.

მასპინძლებმა „ოლიმპიაკოსის“ გულშემატკივრებს მხოლოდ 322 ბილეთი გამოუყვეს, არადა, ისინი რამდენიმე ათასნი იყვნენ. „ოლიმპიაკოსის“ ათასამდე ფანმა როგორღაც შეძლო სტადიონზე შეღწევა, 2 500 უბილეთო ფანი კი სტადიონის გარეთ ებრძოდა ცალკე მასპინძელთა ქომაგებს, ცალკე კი პოლიციას. ამგვარ პირობებში არბიტრმა თამაშის დაწყება შეუძლებლად ჩათვალა. პოლიციამ კი ორი მოჩხუბარი დააპატიმრა.

ამბობენ, რომ გუშინდელი ჩხუბი გაგრძელებაა დეკემბერში მომხდარი ამბისა. მაშინ ამ კლუბების წყალბურთელთა გუნდების შეხვედრისას „პანიონიოსის“ წყალბურთელ ზაჰოს ანასტასიადისს მავანმა გულშემატკივარმა თავში სკამი ჩასცხო.

სკამჩარტყმული ამბავი

კოტე კეკელია

ზურაბ ზვიადაურს პრიზი
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა გადასცა

გიორგი ასანიძეს საქართველოს კულტურისა
და სპორტის მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე მიესალმა



ზურაბ ზვიადაური ჩვენი ბრინჯაოს ცხენოსანია

ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ზურაბ ზვიადაურსა და გიორგი ასანიძეს საქართველოს ჰიმნის თანხლებით კვლავ წამოვუდექით ფეხზე ფეხზე წამოვუდექით ათენის ვერცხლის პრიზიორებს რამაზ ნოზაძესა და ნესტორ ხერგიანსაც. ეს მოხდა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის შედეგების გაცხადებისას და ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც გასული წლის დამლევს ტრადიციისამებრ „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა

ნესტორ ხერგიანი

რამაზ ნოზაძე და ლევან კობიაშვილი მეუღლითურთ

იქვე ფეხზე წამოვუდექით ჩვენს იმ ვეტერან ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს, რომლებიც სხვადასხვა წლებში სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმის შედეგების მიხედვით საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენებად იყვნენ დასახელებულნი.

პირველი ასეთი გამოკითხვა 1964 წელს ჩატარდა. მაშინ წლის საუკეთესო სპორტსმენად ფეხბურთელი სლავა მეტრეველი აღიარეს. მას შემდეგ 40 წელიწადი გასულა და ახლა ამ საიუბილეო რეფერენდუმს, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ვერც სლავა მეტრეველი და ვერც კიდევ ორი №1 სპორტსმენი: ომარ ფხაკაძე და ზურაბ საკანდელიძე, მაგრამ რაკი ქართველები იმ ქვეყნად წასულებს საზეიმო სუფრებზეც ვიხსენებთ, კვლავ მოვიგონეთ ისინიცა და სხვებიც, რომლებსაც უდიდესი სიხარული მოჰქონდათ. ამ გახსენებაში გვეხმარებოდა ეკრანზე მათი ტრიუმფალური გამოსვლების გაელვება.

ეს საიუბილეო რეფერენდუმის საღამო დასამახსოვრებელი იყო იმითაც, რომ სხვადასხვა წლების №1 სპორტსმენები რიგრიგობით აჯილდოებდნენ შარშანდელი სეზონის ათ საუკეთესო სპორტსმენს, რომელთაც სათავეში პირველად ჩაუდგა ზურაბ ზვიადაური. მან „შერატონ მეტეხი პალასშიც“ ათენურად შემართა საჩვენებელი თითი და ამით იქ შეკრებილ საზოგადოებას ისეთივე მქუხარე ტაში მოსწყვიტა, როგორც ოლიმპიურ ათენში.

ზურაბ ზვიადაურს 33 გამოკითხული ჩვენი კოლეგიდან 26-მა პირველობა არგუნა, მეორეობა კი შვიდმა.

მეორე ადგილზე გასული გიორგი ასანიძე, რომელმაც აქამდე სამჯერ დაიმახურა ვეტერანი მორაგბის, ახლა კი ცნობილი მოქანდაკის გია ვაფარიძის მიერ გამოძერწილი ბრინჯაოს ცხენი, ამბობდა, ჩემთვის რომ გეკითხათ, პირველობას მეც ზვიადაურს მივანიჭებდიო. თავად ზვიადაურს კი ის მშვენიერი ბრინჯაოს ცხენი ასანიძისთვის ემეტებოდა.

ასე იყო თუ ისე, ასეთია შარშანდელი ათეული: I ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) — 323; II გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) — 299; III რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 250; IV ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) — 244; V მალხაზ ასათიანი (ფეხბურთი) — 136; VI ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — 91; VII ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) — 89; VIII ლევან კობიაშვილი (ფეხბურთი) — 72; IX ნიკოლოზ იხარია (კრივი) — 46; X ვლადიმერ ბოისა (კალათბურთი) — 38.

გუნდებიდან საუკეთესოდ აღიარეს ძიუდოისტთა ნაკრები და იქვე დააფასეს შარშანდელი ალეფლოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში ბერძნულ-რომაულად ძოწიდავეთა ნაკრებიც.

იმავე საღამოზე ჟურნალისტებმა „საკუთარ თავსაც“ ვეცით პატივი — ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია გადაეცა კონსტანტინე ვოგიშვილს („მთავარი გაზეთი სპორტი“).

ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები

ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი კონსტანტინე
გოგიშვილი, ელგუჯა ბერიშვილი და ნოდარ გუგუშვილის შვილიშვილი

ათეულის ერთადერთი ქალბატონი ნინო
სალუქვაძე და ვეტერანი რომან რურუა



საარეფერენდუმო საღამო „შერატონ მეტეხ პალასში“

ჩუ, ფაჩულია ახმაურდა

სტეფანიამ გუნდს მუხლი ანაცვალა

ამ დღეებში, ცხადია, კალათბურთელებმაც დაისვენეს, თუმც ამერიკაში მობურთალთ მხარ-თეძოზე წამოსაწოლად და, მით უმეტეს, სასმისების ჭახა-ჭუხისთვის ნამდვილად არ ეცალათ. ნბა-მ არ იცის. შობა-ახალწელი და 2004-ისა და 2005 წლების მიჯნაზე დიდი ბრძოლები გაიმართა ამერიკისა თუ კანადის ფიცარნაგებზე. ჩვენც ოკეანეებიდან დაგიწყოთ ლეგიონერთა ოცნებების მიმიხილვა, თანაც ნბა-ში ამ ბოლო დღეებში მეტად მნიშვნელოვანი ამბები მოხდა (და ხდება „ქართული" გაგებით.

უმთავრესი ალბათ ისაა, რომ ვლადიმერ სტეფანია „პორტლენდს" გამოეშვიდობა და ახლა უგუნდოდაა. ნბა-ს ქართველი ვეტერანი იძულებული იყო, ორეგონელებს გასცლოდა, რაკი გუნდი მას მუხლის ოპერაციის გაკეთების ნებას არ რთავდა.

სტეფანიას ქრონიკულად მტკივარ მუხლზე გასული გაზაფხულზე უკვე ვუკეთეს ოპერაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, უშედეგოთ. ამ სეზონში ვოვამ მხოლოდ ერთი მაჩა ითამაშა „პორტლენდის" შემადგენლობაში და საკმაოდ ხალიასალაც. თუმც ამ იმედისმომცემი შეხვედრის შემდეგ კვერ სათადარიგოთა სკამზე გადინაცვლა, შეორეც კი დაშავებულთა სიაში.

ახლა სტეფანია საგარაუდოდ მუხლის ოპერაციას გაკეთებს და ახალი გუნდის ძებნას დაიწყებს, თანაც ამ სეზონის დასრულებამდე თუ ალბათ, სამაღალრანგად ეწევა საქმე.

ამ ესაამოვნო ამბის შემდეგ ბასალის გამოსაკეთებლად ნამდვილად გამოდგება ნბა-ში მობურთალი მეორე ქართველი ცენტრის ზაზა ფაჩულიას წარმატებანი. ზაზას, ამ სეზონში ერთხელაც რომ არ ეთამაშა ძირითადში, ბოლო მატჩში ორჯერ ანდის დამწყებ ხუთეულში ალგილი, მისმა „ძალეულებმ" კი ბოლო ექვსი მატჩიდან სამჯერ იმარჯვა.

ფაჩულიამ ყველა ამ შეხვედრაში მაღალი მონაწილეობა და განსაკუთრებით მიგებულ მატჩებში გამოიჩინა „ორლანდოსთან" და „ნიუ ჯერსითან" მან თავიდანვე დაიწყო და ორჯერვე ერთი ნახევარი დაკლდა ორმოც ოუინტამდე. ზაზამ ასევე ნიუბუელად ითამაშა გუმანწინ „ტორონტოს" წინააღმდეგ და ბოლოკენთა გაბრძოლებაში ლიმის წილი დადო.

„ხარიჩები" გაეფინულ ტორონტოში მოელი შეხვედრა აგებდნენ და ბოლო მეოთხედში თამაშის დამატებითი ტაიმში გადაეგანა მოახერხეს. ოვერტაიმამდე ფაჩულიამ ოდენ ორი ქულისა და ოთხი მოხსნის მოგროვება მოახერხა, დამატებით ხუთწუთიანში კი მეორე სუნთქვა გაეხსნა, მეტოქეს ხშირად აწიოკებდა და საბოლოოდ თამაში 8 ქულით და 9 მოხსნით დაასრულა. მატჩის უკანასკნელ წუთებზე მან უმნიშვნელოვანესი ბურთები მოხსნა, რითაც კანადელი „დინოზავრები" ხარამშრალნი დატოვა.

ხიახლეა ნბა-ს მესამე ქართველის ნიკოლოზ ცქიტიშვილის თავსაც. ჯეფ ბზდელიკი წავიდეს ან მე გამშვითო, ბოლო წელიწადნახევარი გაიძახოდა „სკიტა" და ჰა, ბატონო, „დენვერს" მწვრთნელი შეუცვალეს, მაგრამ ამით ქართველ ფორვარდს შვება არ უგრძვნია. მაიკლ კუპერს, ბზდელიკის ასისტენტყოფილსა და ახლა უკვე „დენვერის" თავკაცს ნიკა ცქიტიშვილი ყოველთვის თვალში მოსდიოდა და მისი ეიმედებოდა, მაგრამ შეიქმნა თუ არა „ნაგიტსის" ერთმმართველი, ქართველი რატომღაც გადაავიწყდა.

როცა კუპერი „დენვერის" მწვრთნელად დაინიშნა, კოლორადოულმა გაზეთმა „როკი მაუნთინმა" სპეციალური სტატია უძღვნა ცქიტიშვილისა და „ნაგიტსის" ახალი თავკაცის კეთილ, ასე ვთქვათ, მამაშვილურ ურთიერთობებს. კუპერის გაუფროსებით „სკიტა" კმაყოფილი იყო, ეგაა და მეშველაო, ხოლო თავის მხრივ არც მწვრთნელი ჩანდა ისეთი მკაცრი ქართველი ფორვარდის მიმართ, როგორც მისი წინამორბედი ჯეფ ბზდელიკი. პრესა იხსენებდა იმ საზაფხულო ლიგებს, რომლებშიც ნიკა ცქიტიშვილმა კუპერის დამრიგებლობით დიდ წარმატებებს მიაღწია.

მოკლედ, ორივე მხარე კმაყოფილი ჩანდა და ჟურნალისტებიც ვარაუდობდნენ, „სკიტას" ახალი გამოცდის დრო დაუდგა, თუმც აგერ ჩვენ და აგერ კუპერი, ცქიტიშვილი თითქმის არ გამოჩენილა მოედანზე.

ახლა ევროპასაც მოვხედოთ, სადაც კალათბურთი ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულ კალაპოტს საახალწლო სასტაკლაუსობის შემდეგ. ყველაზე ადრე 2005 წელს საფრანგეთში ისროლნენ ბურთს, თუმც იქაურმა ქართველებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ვიქტორ სანიკიძემ ორივე მატჩი ითამაშა „დიჟონის" შემადგენლობაში, მაგრამ ქულის მოპოვებაც ვერ მოახერხა, ხოლო ერთი საფეხურით დაბალი დივიზიონის „ეპინალში" მყოფმა გიორგი მდივანმა ორივე მოგებული შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

ქართველი არაა, მაგრამ თანამოქალაქეობის გამო შემონდ უილიამსის წარმატებებზეც უნდა ვთქვათ, ვისმა „უნიკსმაც" რუსულ სუპერლიგაში სამიე „საახალწლო" მატჩი მოიგო და ყველა „ჩვენებურის" მარიფათით.

მორიგი გამონათების ჟამი დაუდგა პივოვარნელ დავით უგრეხელიძეს, რომელმაც გერმანულ „ბამბერგს" ულების თასზე 14 წუთში 12 ქულა უთავაზა. მისმა სლოვენიურმა გუნდმა კი მორიგი შეხვედრა მოიგო და ევროლიგის შვიდობილ ულების თასზე ჯგუფიდან გასვლა თითქმის გაინაღდა.

აი, სლოვენთა საამაყო „ოლიმპიას" კი ევროლიგის ჯგუფში ჩარჩენის სერიოზული საფრთხე ემუქრება. ლიუბლიანელებმა ბარსელონაში მორიგი შეხვედრა წააგეს და ჯგუფის ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეც მყარად დაფუძნდნენ. ვლადიმერ ბოისა ჩვეულებისამებრ საუკეთესო იყო ოლიმპიელთაგან, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილმა ათ წუთში 2-2 ქულა-მოხსნის მონაგრება მოახერხა.

ირაკლი პერტაია







„დენვერიდან" გაშვებულ ჯეფ ბზდელიკს მისი ასისტენტყოფილი მაიკლ კუპერი შეცვლის

NBA რეგულარული ჩემპიონატი

8 იანვარი

მილუოკი 89:86 იუტა

მილუოკი: უილიამსი (7), რედი (26), მეისონი (9), სმიტი (7), გაძურიჩი (6); ფიზერი (12), ჯეიმსი (10), კუკოჩი (7), **ფაჩულია** (33 წუთი, 5 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება, 1 ჩაჭრა), სტრიკლენდი

იუტა: მაკლეოდი (15), გირიჩეკი (6), ჰარპრინგი (8), ბუზერი (28), ბორჩარდი (2); ეისლი (15), ოქური (10 ქულა, 13 მოხსნა), ჰამფრიზი (2), სნაიდერი, არაიო

სან ანტონიო 99:90 დენვერი

სან ანტონიო: ჯინობილი (22), პარკერი (20), დანკანი (19), ბოუენი (17)

დენვერი: მარტინი (26), მილერი (16)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ნიუ ორლეანი 121:117 საპრამენტო

ძირითადი დრო 102:102

ნიუ ორლეანი: დევისი (26 ქულა, 17 პასი, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა), სმიტი (23)

საპრამენტო: სტოიაკოვიჩი (37), ვებერი (22 ქულა, 13 მოხსნა), ბიბი (20)

კლივლენდი 104:79 ნიუ იორკი

კლივლენდი: ჯეიმსი (22), ჰარისი (16)

ნიუ იორკი: ტ. ტომასი (17)

კლიპერსი 91:108 ფინიქსი

კლიპერსი: საიმონსი (22 ქულა, 11 მოხსნა), მეჯიტი (15)

ფინიქსი: ჯონსონი (23), მარიონი (22 ქულა, 11 მოხსნა), რიჩარდსონი (19), სტუდემაიერი (17), ნეში (10 ქულა, 10 პასი)

ვაშინგტონი 117:114 მინესოტა

ვაშინგტონი: არენასი (40), ჰიუზი (28 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ჯემისონი (23 ქულა, 10 მოხსნა)

მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 19 მოხსნა, 8 პასი, 4 დაფარება), სპრიუელი (19)

ორლანდო 104:101 ნიუ ჯერსი

ორლანდო: ჰილი (22), თურქოღლუ (19), მობლი (19), ფრენსისი (16)

ნიუ ჯერსი: კიდი (22 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი), კოლინზი (20), ჯეფერსონი (17), კარტერი (16)

ჩიკაგო 102:91 ბოსტონი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (22 ქულა, 14 პასი), ჰარინგტონი (19 ქულა, 10 მოხსნა), დენგი (19)

ბოსტონი: პირსი (20)

დალასი 121:101 ინდიანა

დალასი: ნოვიცკი (38 ქულა, 13 მოხსნა), ფინლი (33), სტეკჰაუზი (18)

ინდიანა: ონილი (32), ტინსლი (20)

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	ჩ
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	ევროლიგა	ბარსელონა	ს	69:79	26	15	3	0	0
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ევროლიგა	ბარსელონა	ს	69:79	10	2	2	0	1
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	RRO A. საფრანგეთი	რეიმსი	შ	88:74	5	0	1	0	0
			როანი	ს	83:85	16	0	2	1	1
გიორგი მდივანი	ეპინალი	PRO B. საფრანგეთი	მურინი	შ	85:81	არ უთამაშია				
			ნანტი	ს	80:79	არ უთამაშია				
შემონდ უილიამსი	უნიკსი	სუპერლიგა (რუსეთი)	სამარა	ს	92:78	38	23	4	8	3
			სურგუტი	შ	108:73	20	17	4	4	0
			ხიმკი	შ	96:93	33	18	6	11	2
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	ულების თასი	ბამბურგი	ს	78:72	14	12	2	0	1
სერგო ათუაშვილი	შალონი	PRO A. საფრანგეთი	კლერმონი	შ	83:51	1	0	0	0	0
			დიუნკერკი	ს	85:90	არ უთამაშია				
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	დენვერი	ნბა. რეგულარული ჩემპ.	კლიპერსი	შ	98:102	4	0	0	0	0
			ლეიკერსი	ს	91:99	3	0	2	0	0
			ფილადელფია	შ	97:92	3	0	0	0	1
			სან ანტონიო	ს	90:99	არ უთამაშია				
ზაზა ფაჩულია	მილუოკი	ნბა. რეგულარული ჩემპ.	ორლანდო	ს	111:105	37	9	11	6	3
			ინდიანა	ს	99:116	28	10	4	1	1
			ჰიუსტონი	ს	90:105	13	3	2	0	0
			დალასი	ს	104:123	18	11	5	1	0
			ნიუ ჯერსი	შ	97:74	26	9	8	3	0
			ტორონტო	ს	107:105	20	8	9	1	0

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ



ბადრი კვითელაძის ფოტო

ნაკრებს უბრუნდება ძველი ბორჯღალოსანი ვიქტორ დიდებულიძე

პალენდარიც ამას ჰქვია მორაგბეებმა წელი გამართეს

ქართველი მორაგბეები

საერთაშორისო სეზონს ადრეულად იწყებენ. 2005 წლის ერთა თასის ერთი შეხვედრის ჩატარება ჯერ კიდევ შარშან მოასწრეს, ნოემბერში კასნოდარში რუსეთის ნაკრებს 27:15 მოუგეს, 5 თებერვალს კი გაცილებით ძლიერ და ორგანიზებულ პორტუგალიას ესტუმრებიან და შარშანდელი თბილისური მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდებიან.

ერთა თასის 2005 და 2006 წლების გათამაშებები პარალელურად 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირადაც ითვლება და გამარჯვებების ფასმაც ერთიორად იმატა. ბორჯღალოსნები საპორტუგალიო სამზადისს უკვე შეუდგნენ, საქართველოს რაგბის კავშირმა კი თავის მხრივ ნაკრების წლევანდელ შეკრებებსა და ტესტ-მატჩებზე მუშაობა იწყო.

ნაკრების თავკაცებმა დავით ჩავლეიშვილმა და მალხაზ ჭეიშვილმა ლისაბონში წასაყვანი ოცდაორი მორაგბე ამ დღეებში დაასახელეს. სრული შემადგენლობით გუნდს 26 იანვრიდან საფრანგეთში, ტულუზაში მოუყრიან თავს და თამაშამდე ორი დღით ადრე იქიდან ჩავლენ პორტუგალიაში, საქართველოში მყოფი ნაკრების წევრები და რუსეთში მოთამაშე ლეგიონერები კი თბილისში დღეიდან შეიკრიბებიან ნაკრების კანდიდატებთან ერთად.

ჩავლეიშვილ-ჭეიშვილის სამწყსო 5 თებერვლის შეხვედრის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გაფრინდება და პრეტორიული „ბლუ ბულზის“ ბაზაზე 20 თებერვლამდე ივარჯიშებს. შესაძლოა, ბორჯღალოსანთა აფრიკული შემადგენლობა ცოტა შესუსტებული იყოს. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ლეგიონერი შეძლებს კლუბის მიტოვებას და რომელი ვერა. სამაგიეროდ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ ტურნეს პერიოდში სამი ამხანაგური მატჩიც შედგება. „ცისფერი ხარების“ გარდა ჩვენი გუნდი ნამიბიის ნაკრებსა და სამხრეთ აფრიკის პროვინცია მპუალანგას გუნდს შეერკინება.

თბილისში დაბრუნებული ბორჯღალოსნები 26 თებერვალს უკრაინას უმასპინძლებენ, ხოლო 12 მარტს უმთავრეს მეტოქეს რუმინეთს, თუმც ერთი სერიოზული შეკრება კავშირს ამ შეხვედრებს შორისაც დაუგეგმავს, საკარაუდოდ, ტრაპიზონული ერთკვირიანი.

ასე რომ, თავადაც ხედავთ, ბორჯღალოსნები მთელი ზამთარი საქმეში იქნებიან.

საერთათასო წერტილს 11 ივნისის საქართველო — ჩეხეთი დასვამს. ზაფხული და შემოდგომა კი ტესტ-მატჩებით მდიდარი უნდა გამოვიდეს. სადღეისოდ ყველაზე რეალურია ჩილესა და ურუგვაის ნაკრებების ჩამოსვლა. ჩავლეიშვილ-ჭეიშვილის ბიჭები ამ გუნდებს რამდენიმე თვის წინ სამხრეთ ამერიკაში ესტუმრნენ და თბილისში საპასუხო ვიზიტს საკარაუდოდ ნოემბერში ელიან.

ივნისში საქართველოს ეგებ ისევ ეწვიოს „ბლუ ბულზი“, ამჯერად ამხანაგურად სათამაშოდ. განიხილება სამხრეთაფრიკელ „ბარბაროსებთან“ და იქაურ ჯარის ნაკრებთან თამაშებიც. სამივე საკარაუდო მეტოქე ჩამოსვლაზე თანახმაა და ალბათ მალე ყველაფერი ოფიციალურადაც გადაწყდება.

შედარებით ბუნდოვანია თბილისში ჯერ არნახული ოთხთა ტურნირის ჩატარება. თუკი საჭირო ფინანსები გამოიძებნა, საქართველოში სამხრეთ აფრიკის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის A ნაკრებებსაც ვიხილავთ. ჩვენი ინფორმაციით, ეს პროექტი ჯერჯერობით იდეის დონეზე რჩება, თუმც გამორიცხული არაა, რამდენიმე თვეში რეალობად იქცეს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს იტალიის ნაკრებთან ტესტ-მატჩზეც, საკარაუდოდ, აგვისტო-სექტემბერში. ვერაფერს იტყვი, კალენდარიც ამას ჰქვია,

ოთარ გალლაკელიძე

ბადრი კვითელაძის ფოტო

ბორჯღალოსნები პორტუგალიელთა ჯავრის ამოყრას 5 თებერვალს ეცდებიან

ბადრი კვითელაძის ფოტო

გადახდა უნდა ვალსაო! წელს უკვე ჩვენ ვესტუმრებით „ბლუ ბულზს“

საქართველოს ნაკრები

შერაკინება

მამუკა მაგრაქველიძე
გოდერძი შველიძე
დავით ზერაქაშვილი
დავით ხინჩაგიშვილი
აქვსენტი გიორგაძე
ილო ზედგინიძე
მამუკა გორგოძე
ვიქტორ დიდებულიძე
რატი ურუშაძე
ზვიად მაისურაძე
ბესიკ უდესიანი
ზურაბ მჭედლიშვილი

უკანა ხაზი

ირაკლი აბუსერიძე
პალიკო ჯიმშელაძე
დავით კიკნაძე
თედო ზიბზიბაძე
ირაკლი გიორგაძე
მალხაზ ურჯუკაშვილი
ირაკლი მაჩხანელი
ლექსო გუგავა
ბესიკ ხამაშურიძე
ოთარ ბარკალაია

ერთა თასი 2005

20 ნოემბერი 2004
რუსეთი 15:27 საქართველო
უკრაინა 16:36 პორტუგალია
27 ნოემბერი 2004
ჩეხეთი 14:38 რუმინეთი
5 თებერვალი
პორტუგალია — საქართველო
26 თებერვალი
საქართველო — უკრაინა
პორტუგალია — ჩეხეთი
რუმინეთი — რუსეთი
12 მარტი
საქართველო — რუმინეთი
უკრაინა — ჩეხეთი
19 მარტი
უკრაინა — რუმინეთი
4 ივნისი
რუსეთი — პორტუგალია
11 ივნისი
საქართველო — ჩეხეთი
რუსეთი — უკრაინა
რუმინეთი — პორტუგალია
რუსეთი — ჩეხეთი
(თარიღი ჯერ არ დადგენილა)

რუმინეთი	1	1	0	38:14	2
პორტუგალია	1	1	0	36:16	2
საქართველო	1	1	0	27:15	2
რუსეთი	1	0	1	15:27	0
უკრაინა	1	0	1	16:36	0
ჩეხეთი	0	0	0	0:0	0

ტურინმა გამოიზამთრა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ გაისად გასამართი ტურინის ოლიმპიური თამაშების სარბიელთა მშენებლობების დასრულება დროულად ვერ მოესწრებაო. აღმოჩნდა, რომ ამგვარი ეჭვები უსაფუძვლო ყოფილა, რადგან ტურინის ოლიმპიური სპორტული ბაზები უკვე მზადაა თამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე ქალაქის ოლიმპიური ბაზები მზადყოფნაში ან თითქმის სრულ მზადყოფნაშია. მაგალითად, დღესვე შეუძლია უმასპინძლოს შეჯიბრებებს ბობსლეის სარბიელმა და „მფრინავ მოთხილამურეთა“ ტრამპლინმა, აგრეთვე ყველა სათხილამურო ტრასამ. წვრილმანი სამუშაოები დარჩა საციგურაო არენაზე.

ორიოდე კვირაზე ნაკლებ დროში ჩესანაში ჩატარდება მსოფლიოს თასის გათამაშება ბობსლეიში. ჩესანაშივე უნდა გაიმართოს ოლიმპიური შეჯიბრებები სკელეტონში. ამ ობიექტის მშენებლობამ ყველაზე დიდი ენებათაღლეკა გამოიწვია გარემოს დამცველთა შორის, ამიტომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს მოუხდათ მისი ადგილმდებარეობის შეცვლა. იმისთვის, რათა ამ ტრეკის მშენებლობა დროზე დაემთავრებინათ, 20 მუშა რამდენიმე დღის განმავლობაში დღედაღამ მუშაობდა.

პრაგელატო, სადაც ოლიმპიელები ტრამპლინიდან ხტომაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, წლეულს 11-12 თებერვალს მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის მასპინძელი გახდება.

სამუშაოები დამთავრდა აგრეთვე პალაველას საციგურაო ცენტრში, სადაც 14-16 იანვარს შორტ-ტრეკის სპეციალისტები შეიკრიბებიან, ხოლო იანვრის ბოლოს ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ფიგურულ ციგურაობაში.

ავთანდილ ჯუვიშელი

კბილთა კაწკაწი და დროშების ფრიალი მონბლან დე ტე კიულზე

მაშინ, როცა შობა-ახალი წლის დღეებში ვისვენებდით და ნორმალური ხალხი, ვისაც ამის გუნება-განწყობა ჰქონდა, სადღესასწაულო ატმოსფეროთი ცხოვრობდა, საქართველოს პარლამენტის წევრი, თბილისელი გია თორთლაძე თავის სანკტპეტერბურგელ მეგობართან ერთად ალპებში, 3600 მეტრის სიმაღლეზე ერთ მიტოვებულ ქოხში სიცივისგან კბილებს აკაწკაწებდა. თუმცა, მანამდე 14-15 საათის განმავლობაში უფრო მეტ სიცივესა და ყინვაში იყო, როცა დასავლეთ ევროპის უმაღლესი მწვერვალის გვერდით მონბლან დე ტე კიულზე ლაშქრობდა

გია თორთლაძემ მონბლან დე ტე კიულიდან დასავლეთ ევროპას გახედა



მწვერვალი მონბლან დე ტე კიული

— მეგონა, რომ შვეიცარიის ამ ულამაზეს მხარეში სხვა მთამსვლელებიც იქნებოდნენ, მაგრამ მხოლოდ სამთო ტურიზმის ორ ორკაციან წყვილს გადავეყარეთ, რომლებიც თავისთვის დაბორიალობდნენ და მწვერვალზე ასვლა აზრადაც არ მოსდიოდათ — გვიამბობს გია თორთლაძე — ეგ კი არა, როცა ტურისტულ და სამთო გიდების ოფისში ზურგჩანთებით მივედით, გაუკვირდათ, კი მაგრამ, ახლა მწვერვალებზე ვინ დადისო. იმათ გაკვირვება ჩვენ უფრო გაგვიკვირდა, რადგან შვეიცარიას მთამსვლელობაში უძველესი და უმდიდრესი ტრადიცია აქვს. ამიტომ იქაურთათვის, მით უმეტეს სამთო გიდებისთვის ჩვენი განზრახვა საკვირველი სულაც არ უნდა ყოფილიყო. ასე იყო თუ ისე, შამონში ავედით, იქიდან მწვერვალისკენ გავემართეთ და უთენია ყინულოვან მარშრუტს დავადექით, მაგრამ უამინდობის გამო პირი ვიბრუნეთ. ასე განმეორდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ხან ქარბუქი იყო, ხან გადაუღებლად თოვდა. ბოლოს, როცა იქ ყოფნის ვადა გვეწურებოდა, გამოიდარა. თუმცა, გამოდარებას პირობითად ვამბობ, თორემ ეს ზამთრის ასვლა გასეირნება სულაც არ იყო. ასე იყო თუ ისე, 4400-მეტრიან მწვერვალზე ყინულოვანი კულუარით ავედით. 700 მეტრიანი ყინულის კედელი მწვერვალიდან ლენტივით იყო გადმოკიდებული. ყველაზე განიერ ადგილზე 3 მეტრი იყო, საშუალოდ კი მხოლოდ 2 მეტრამდე. დიდთოვლობის გამო მწვერვალი ზვავსაშიში გახდა. ამიტომაც იმეორეთოლ გადავწყვიტეთ იქიდან იმავე გზით დავშვებულიყავით, ოღონდ ... დით. თადარიგი თ[illegible] -რეთ და ყოველი ერთი თოკის ანუ 50 მეტრის გავლის მერე დასაშვებად ყულფებს ვტოვებდით. ყინულოვანი კულუარის საშუალო დახრილობა 70-75 გრადუსი იყო. ალაგ-ალაგ 3-4 მეტრიანი მთლად ვერტიკალური მონაკვეთებიც დავძლიეთ...

ერთი სიტყვით, გია თორთლაძე თავის მეწყვილესთან ერთად მწვერვალზე უპრობლემოდ ავიდა, რაც საქართველოს მთამსვლელთათვის ალპებში პირველი ზამთრის ლაშქრობა იყო. თორთლაძემ იქ საქართველოსა და თავისი ამ ასვლის სპონსორის, „საქართველოს ბანკის“ დროშაც ააფრიალა და ქვემოთაც მშვიდობით დაეშვა, თბილისში დაბრუნებულმა კი ამ მონათხრობთან ერთად აქო და ადიდა თავისი სანკტპეტერბურგელი მეწყვილე, ვისთანაც აქამდე ოთხჯერ ყოფილა მწვერვალზე, მათ შორის ტიან-შანის მთებში ბაიჩეჩეკზე და პირინეის მთებში ვინიმალზე, სადაც ასევე ყინულოვანი მარშრუტები გაიარა.

მართლაც, ალექსანდრ რუჩკინი დღესდღეობით რუსეთის ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელია, სწორედ რუჩკინის დიდი დამსახურება იყო, რომ მისმა თანამემამულეებმა ჰიმალაის მწვერვალ ჟანუზე შარშან მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესი ასვლა განახორციელეს, რაც მანამდე შეუძლებელი ჩანდა.

ავთანდილ ჭყვიშელი

ტოიოტა

პანასონიკ ტოიოტა რეისინგი დაარსდა 2000 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 2002 წლიდან
51 რბოლა; 27 ქულა
საუკეთესო შედეგი VIII ადგილი (2003, 04)
პრეზიდენტი ცუტომუ ტომიტა (იაპონია)
მთავარი კონსტრუქტორი გუსტავ ბრუნნერი (ავსტრია)
ტექნიკური დირექტორი მაიკ გასქოინი (დიდი ბრიტანეთი)
მთავარი მოტორისტი ლუკა მარმორინი (იტალია)
ბოლიდი „ტოიოტა TF 105“
ძრავა „ტოიოტა RVX 05“ (V10)





რალფ შუმახერი	იარნო ტრული
გერმანია	**იტალია**
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ჰურტ-ჰერმოლეკაიმში	დაიბადა 1974 წლის 13 ივლისს პესკარაში (იტალია)
ცხოვრობს ზალცბურგში (ავსტრია)	ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლშვილიანი	სიმაღლე 173სმ; 60კგ
სიმაღლე 178სმ; წონა 73კგ	დებიუტი ფორმულა 1-ში:
დებიუტი ფორმულა 1-ში:	ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)
ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)	პირველი გამარჯვება:
პირველი გამარჯვება:	მონაკოს დიდი პრიზი (2004)
სან მარინოს დიდი პრიზი (2001)	128 რბოლა; 1 მოგება;
127 რბოლა; 6 მოგება; 5 პოული;	2 პოული; 117 ქულა
7 უსწრაფესი წრე; 259 ქულა	ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი:
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი:	მეექვსე ადგილი (2004)
მეოთხე ადგილი (2001, 2002)	გუნდები: „მინარდი“ (1997),
გუნდები: „ჯორდანი“ (1997-98)	„პროსტი“ (1997-99), „ჯორდანი“
„უილიამსი“ (1999-04)	(2000-01), „რენო“ (2002-04)
„ტოიოტაშია“ 2005 წლიდან	„ტოიოტაშია“ 2005 წლიდან

იაპონელებს ტიტული მოუნდათ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

შაბათს ბარსელონის სარკინიგზო სადგურში ორასამდე ჟურნალისტისა და სტუმრის თვალწინ მოეწყო იაპონურ საფორმულო გუნდ „ტოიოტას“ პრეზენტაცია.

ორიგინალურ-პიკანტურ ვითარებაში 2005 წლის ბოლიდს საბურველი გადახადეს საჯინიბოს პილოტებმა რალფ შუმახერმა და იარნო ტრულიმ. ცნობისთვის, ეს ტანდემი უძლიერესია იმათ შორის, ვისაც ამომავალი მზის ქვეყნის საჯინიბოს სახელით ურბოლია და არცაა გასაკვირი, რომ ტოიოტელთა ბოსობას ამბიციური მიზნები ამოძრავებს.

„ჩვენი უმთავრესი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობაა — ამბობს „ტოიოტას“ მმართველი დირექტორი ცუტომუ ტომიტა — მშვენივრად გვესმის, რომ საამისოდ უმძიმესი გზის გავლა მოგვიწევს და ჩვენც მზად ვართ. თანაც ის გვაიმედებს, რომ ბოლო წელს უდიდესი ნაბიჯი გადავდგით მიზნის მისაღწევად იმ მხრივ, რომ შევქმენით პრაქტიკულად სრულიად ახალი მოდელი, რომლითაც უკვე წლეულს ვაპირებთ საგრძნობი წარმატების მოპოვებას. ახალი მანქანის შექმნისას ცხადია გავითვალისწინეთ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მიერ გუნდების ხარჯების შესამცირებლად გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ ის, რომ ძრავამ უკვე სამ რბოლაში უნდა გაძლოს და ჩვენმა კონსტრუქტორებმა „ტოიოტას“ კიოლნის აეროდინამიკურ გვირაბშიც და ლაბორატორიებშიც ამ მხრივ მუხლჩაუხრელად იმუშავეს. ერთი სიტყვით, მჯერა, რომ მთელი კოლექტივის მიერ გაწეული შრომით დავძლევთ დამდეგი სეზონისთვის უმთავრეს ამოცანას და მინიმუმამდე შევამცირებთ წამყვან გუნდებთან ჩამორჩენას, მერე კი ტიტულზეც ვიფიქრებთ.“

მიზანი მიზნად, მაგრამ შასიან — ძრავიანად იაპონურ გუნდს დღემდე სამ ჩემპიონატში ერთი დიდი პრიზიც ვერ მოუპოვებია, თუმც პასივის დაძლევას სწორედ რალფისა და იარნოს დახმარებით აპირებს. იაპონელთა ამბიციურმა გეგმებმა პატარა შუბიც საჩემპიონო მადაზე მოიყვანა და ყოფილი უილიამსელი ჯერ კიდევ პირველ გაჯირითებამდე ახლავე მზადაა ერთი-ორი წლით გაახანგრძლივოს თანამშრომლობა ახალ საჯინიბოსთან, რომელთანაც სადღეისოდ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.



ახალი „ტოიოტას“ პრეზენტაცია ბარსელონის რკინიგზის სადგურში შედგა

ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲛᲐ ᲧᲐᲢᲐᲠᲘ ᲒᲐᲐᲤᲕᲘᲠᲐᲓᲐ



REUTERS დოკუმენტი

როჯერ ფედერერი



REUTERS მაგრანასიდან

კარლოს მოია

QATAR EXXONMOBIL OPEN
დოჰა. მაგარსაფარი
საპრიზო 1 მილიონი $
ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (6, ხორვატია) 6:3, 6:1

წინა სეზონის განმავლობაში სამი სლემტურნირის მომგებმა და ჯამში 11 ჯილდოს მიმთვლელმა როჯერ ფედერერმა თავისი სარეკორდო სვლა ახალი წლის დაწყებისთანავე განაგრძო. დოჰაურ მაგარსაფარზე მან კვლავაც უებროდ იჩოგნავა, თავისი 43 გეიმიდან 43-ე გაანალდა, მიჯრით გადაურბინა ესპანელ დავიდ ფერერს, ბრიტანელ გრეგ რუზეიკის, ესპანელსავე ფელისიანო ლოპესსა და რუს ნიკოლაი დავიდენკოს და გადამწყვეტი შეხლა 63 წუთში მოუგო ხორვატ ივან ლიუბიჩიჩს, რომელთან ნათამაშებ ექვს მატჩშიც აქამდე მხოლოდ სამჯერ ემარჯვა. თუკი ათვლას შარშანდლიდან დავიწყებთ, ეს ამქრის პირველობნის ზედიზედ 21-ე გამარჯვება იყო და 1990 წლის შემდეგ ის პიტ სამპრასისა და სტეფან ედბერგის შემდეგ მესამე მეჩოგნე გახდა, ზედიზედ 20 მატჩზე მეტის მოგება უკვე მეორედ რომ მოახერხა. გარდა ამისა, მან კიდევ ერთით დაიგრძელა თავისივე რეკორდი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე ზედიზედ ამდენი ანუ უკვე 14 ფინალი არავის მოეგო. მიჯრით 12-12 ფინალში ეტიტულათ მხოლოდ ბორნ ბორგსა და ჯონ მაკინროის, ფედერერმა კი მათ შარშანდელი სეზონის დამლევს ჰიუსტონურ მასტერსთასზე გადაუსწრო, სადაც თავის ზედიზედ მე-13 სატიტულო შეხლაში იხეირა. სულ კი უნაკლო ბაზელელის ტიტულმონაგარმა უკვე 23-ს უწია — ამ გამარჯვებამ მას 140 ათას დოლართან ერთად 50 საჩემპიონთარბოლო ქულაც არგო, რაიც იმის მაუწყებელიცაა, რომ ჩემპიონთა რბოლას მან სადავეები უკვე სეზონის პირველივე კვირიდან ამოსდო.

NEXT GENERATION HARDCOURTS
ადელაიდა. მაგარსაფარი
საპრიზო 419 ათასი $
ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

იოახიმ იოჰანსონი (2, შვედეთი) — ტაილორ დენტი (5, აშშ) 7:5, 6:3

22 წლის შვედმა იოახიმ იოჰანსონმა თავის მეორე საკარიერო ფინალში ითამაშა და — ისევე როგორც წინა წლის მემფისობაზე გერმანელი ნიკოლას კიფერის წინააღმდეგ — ამჯერადაც საქმე წაღმად გაასრულა. შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული, იოჰანსონი უკვე მეშვიდე ტურნირია, სულ მცირე მეოთხედფინალში მაინც გადის და ამდენად მისი ეს წარმატება ერთგვარად ლოგიკურიცაა. ეგ მით უფრო, რომ ტაილორ დენტს იმ დღეს თავისი ნაქები მოწოდება გაემრუდა და ჯამში 11 ორმაგი შეცდომა იკისრა. ამ მოგებამ შვედს 57 750 დოლარი და ზედაც 35 საჩემპიონთარბოლო ქულა მოუტანა.

CHENNAI OPEN
ჩენაი. მაგარსაფარი
საპრიზო 380 ათასი $
ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

კარლოს მოია (1, ესპანეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) 3:6, 6:4, 7:6 (7:5)

უკვე მეორე წელია, ამ ინდური ქალაქის საჩოგბურთო ტურნირის ბედი კარლოს მოიასა და პარადორნ შრიჩაფანის ორთაჩოგნობაში ირკვევა და უკვე მეორეე წელია, ამ ამბავში გამარჯვებული ნატიფი მალიორკელი რჩება. არადა, პარადორნი, ვისაც ჩენაიში შარშანწინ უმარჯვია, გადამწყვეტ სეტში 5:2 ივებდა და გუშინ თითქოს უნდა ერეკანშა კიდეც. მაგრამ საბედისწერო მომენტში მოიამ თავისი ბარაქიანი ხელწალმა აამუშავა და პირველი მოწოდებიდან ორსაათნახევრის თავზე კარიერის მე-18 ტიტული დამსახურებულად მიითვალა. ამ ტიტულს მოყოლილი 52 ათასი დოლარი კი მან ცუნამის შედეგად დაზარებულია დახმარების ფონდში გადარიცხა — მარტო მადრასში, რომელიც ჩენაიდან მცირე ხნის სავალში მდებარეობს, ნამიწისძვრევს აბობოქრებულ ტალღებს 200-მდე ადამიანი შეეწირავთ.

ᲭᲝᲒᲑᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ
პერთი. მაგარსაფარი
ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

სლოვაკეთი 3:0 არგენტინა
დანიელა ჰანტუხოვა — ხიხელა დულკო 1:6, 6:4, 6:4; დომინიკ ჰრბატი — გილერმო კორია 6:4, 6:1
ჰანტუხოვა, ჰრბატი — დულკო, კორია მატჩი არ შემდგარა

ჰოპმანის რვაგუნდა თასი სლოვაკებს აქამდე მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს მოეგოთ, როცა გუნდში კაროლ კუჩერა და კარინა ჰაბსუდოვა იყვნენ. რომ არა გილერმო კორიას დაჭიმული ზურგი, სლოვაკებს ვინ ლი კიდევ კარგა ხანი დასჭირვებოდათ ამ ისეარა თასის საშოვნელად. მაგრამ მარდმა კორიამ წელი სწორედ ფინალში წამოიტკივა, ჰრბატის კი პერთში ნათამაშებ ოთხ შეხვედრაში ერთი სეტიც არ დაუთმია და რამე არც ტრავმიან მეტოქესთან დათმო. მას ჩოგანი დანიელა ჰანტუხოვამაც აუბა, რომლის რაგინდარა წარმატებაზეც ჩვენ უკვე ბარე ორი წელია, არაფერი გვითქამს, არაფერი იმიტომ, რომ ამდაგვარი ანუ მისხალი წარმატების მსგავსი არც არაფერი ყოფილა.

UNCLE TOBYS HARDCOURTS
გოლდ კოასტი
მაგარსაფარი
საპრიზო 170 ათასი $
ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

პატი შნიდერი (2, შვეიცარია) — სამანტა სტოზერი (ავსტრალია) 1:6, 6:3, 7:5

ტურნირის 1999 წლის ჩემპიონმა პატი შნიდერმა გოლდ კოასტში ხელმეორედ გაჩემპიონების შედეგად კარიერის მე-9 ტიტული მიითვალა. ფინალში მან ორსაათიან განდაგანში ავჯობა ადგილობრივი მილეთის ფალავან სამანტა სტოზერს, ვინაც იქ შარშანაც გაიბრწყინა და ნახევარფინალში მხოლოდ მომავალ ჩემპიონ ია სუგიამასთან დამარცხდა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ



ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ ᲛᲘᲜᲐᲡᲐᲒ ᲓᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ

ᲮᲐᲜ ᲠᲘᲜᲒᲘ, ᲮᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ლეგენდარულ მოკრივე მაიკ ტაისონზე ხშირად უთქვამთ, ამხელა გლიათს მწვრთნელი რაში სჭირდებაო. ახლა ამაზე ფილოსოფოსობას ნუ დავიწყებთ და ვეტყვით, რომ ტაისონმა თავად ღაურეკა მასსაკუთრ ლეგენდარულ რინგის „ვეშაპ“ რიბერტო დიურანს, აჭიდა მწვრთნელად მინდიხარო. „რკინის მაიკ“ დიურანს მაიამიში თავად გადაუხდის საცხოვრებელ ხარჯებს, თუმც რიბერტოს ტაისონის მძიმე ხასიათი აშფოთებს — მან უნდა მიმისმინოს და დამეკვროს, თორემ ტიტულად დროის ფლანგვას აზრი არა აქვსო.

ამასობაში, ხარკისერა ტაისონმა ამერიკული ტელეარხის „შოუტაიმის“ ხელმძღვანელებს ოხიუნთი მიმართა, ორთაბრძოლებს პირდაპირ ეთერში მე წაიყვანო. „შოუტაიმის“ უფროს ჯეი ლარკინს „რკინის მაიკის“ წინადადება ჭკუაში დაუჯდა, ტაისონი ძალიან ღრმადაა ჩახედული კრივში და კომენტატორობაც მაგრად გამოუვა. თუმც დიურანისა არ იყოს, მაიკის ხუშტურობანა ლარკინსაც ადარდებს — კომენტატორობა თუ სერიოზულად სურს, ჩვენს ტელეკომპანიაში რეგულარულად უნდა იაროსო. კიდევ ერთი, „შოუტაიმი“ კრივის სამყაროში ასევე ცნობილი ტელეარხის „ესპნიოლის“ მთავარი კონკურენტია, სადაც ერთ-ერთ კომენტატორად უკვე მუშაობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ქვემძიმეწონოსანი რიო ვონს-უმცროსი ანა. ახლა ამაზე წავა კონკურენცია — ვინ უფრო მეტრემტრეველი იქნება, ვონსი თუ „რკინის მაიკ“...

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ
ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ. XVI ᲢᲣᲠᲘ
ᲚᲔᲘᲠᲘᲐ 0:0 ᲛᲐᲠᲘᲢᲘᲛᲣ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ
ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠ ᲓᲐᲛᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲔᲑᲔᲚᲡ
ᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗ
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე
ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲐᲗ
39-48-29, 38-11-14

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲝᲜᲐ ᲨᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲝᲓ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ წლევანდელი ღია პირველობა შარშანდელი ფინალისტების გარეშე ჩაივლის — ჩოგნის გაწევას ვერც ჩემპიონი ჟუსტინ ენენ-არდენი და ვერც მის მიერ სლემდაბრიყვებული თვისტომი კიმ კლაისტერსი შეძლებენ. ამის მიზეზები ის გახლავთ, რომ კიმს ეგრეც ვერ მოუშუშდა შარშანდლიდან მტკივანი მაჯა, ენენ-არდენს კი ორიოდე კვირის წინ ფლორიდაში ბუქნაობისას მოულოდნელად მუხლი დაშავებია. ეს ყველაფერი კი მას ნიშნავს, რომ მელბურნში წლეულს რუსი გოგონები იყოყოჩებენ — დიდი მუზარადის ტურნირებიდან ხომ მათ შარშან მოუგებელი სწორედ ავსტრალიის ღია პირველობა დარჩათ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ავსტრალიის ღია პირველობას შარშანდელი ფინალისტები ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი დაალდებიან

სწრაფი დერეკაჩი

ბიატლონში საუცხოოდ ჩანს ხოლმე, ვინ უფრო სწრაფად გალევს თავის ტყვიაწამალს. ყველა ისვრის, უკრაინელი ვიაჩისლავ დერეკაჩი კი უკვე თავის გზაზე მიდის. თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ობერჰოფის თოვლიან გზებზე 4X7,5 საბიატლონო ესტაფეტა შვედებმა მოიგეს, უკრაინა კი სამეულშიც ვერ მოხვდა.



ბილაბონგი

ბილაბონგის მსოფლიო იუნიორთა პირველობა მოსერფეთა იმგვარი შეჯიბრია, რომელშიაც შვიდი მხარის ექვსაცა გუნდები და საბიც ველური ბარათის მფლობელი მონაწილეობს აფრიკიდან, აზიიდან, ევროპიდან, ავსტრალიიდან, ორივე ამერიკიდან და ჰავაიდან. ამ შეყრის ადგილი სიდნეის წყლებია და ბრაზილიელი ჩემპიონი ადრიანი დე სოუზაც საუკეთესო ფორმაშია.



ახალი შეღწეული

პალესტინის საფეხბურთო ნაკრებს ამიერიდან ისრაელელი არაბი აზნი ნასარი (მარცხნივ) გაწვრთნის. ავტონომიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე აჰმედ ალ-ქიდვა ნამდვილად გახარებულია, რომ მწვრთნელმა ღაზას სექტორში შეაღწია: ნებართვას რამდენიმე კვირა დასჭირდა.

ბარსა-დაკარი

პარასკევს დაიწყო ბარსელონა-დაკარის რალი, რომელიც კატალონიიდან სენეგალამდე ცხრადღიან გზას უმზადებს მანქანებს. პირველსავე დღეს მოშეჯიბრენი ქვიშებში მოხვდნენ, ოღონდაც, არა საჰარაში, არამედ ბარსელონას ახლო მდებარე კასტელდეფელსის პლაჟებზე.



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიჩერიანი, კაჯა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge